




სიმონ შვარიანი.

# მოთა რუსთველი

და

# მისი კოდა



სერგეი გერსამიას გამოცემა.

ფასი ექვსი შაური

ძუთაისი.

ი. კილაძის სტამბა, პუშკინის ქუჩაზე.  
1914

(L. Amorphous Invert  
punctata

Amorphous  
punctata

" 1903 S. W. (5 mi.)

R. D. W.



სერგეი ბერსამის გამოცემა.

სიმონ ავალიშვილი

ჩეკი ბერების გუბენ  
ა. გრიგორ  
სახელი

ვახტაგ  
წლ-916-

# მოთა რუსთაველი

## ისი პოემა.

1275

(ამ წიგნის წმინდა შემოსავალი გადაიდება შოთა რუსთაველის  
ფონდის სასარგებლოთ.)


ვასილე გალაზი



ძეგლის.

0. ძილაძის ელექტრო-მზეპლავი სრამბა.

1914 წ.



## მოთა რუსთველი და მისი პრემია.

„შენ ნიშნად უკვდავებისა  
ურს მოვლენილხარ განგებით,  
ვით ცისარტყელა წარლვნისა  
უცნაურისა ჰანგებრთ“...

ა კ ა კ ი.

### I:

მსოფლიო გენიოსები პოეზიის სფერაში არაა ხშირი შოვლენა; ისტორია არ არის უხვი ამ გვარი პოეტებით. ყველა კულტურულ ერს როდი ქონებია ხვედრათ შე-ეძინა ქვეყნისთვის ასეთი ადამიანი, და თუ რომელიმე ყოფილა ბედნიერი ამისთანა შვილით, ის მაშინვე გამხდარა საქვეყნო კუთვნილებათ და შესწავლის საგნათ. ამ გვარ მსოფლიო გენიოსათ შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მგოლანა, მაგალითათ, ჰომერი, დანტე, შექსპირი, გიორგი და სხ. აი, სწორეთ ამ გენიოსთა ნაწერებს თარგმნიან ყველა ენებზე, მათთვისაა დაარსებული მთელი წრეები და საზოგადოებანი, მათ ირკვევენ კრიტიკულათ, მათ სწირავენ ტომებს და ქმნიან ვრცელ ლიტერატურას.

საქართველომაც შექმნა წინათ ამ გვარი დიადი გენიოსი, ესაა, შოთა რუსთველი. მაგრამ ამის ხვედრი არ წააგავს დანარჩენ გენიოსთა სვე-ბედს. თუმც შოთა წარმოშვა უზენაესათ ამაღლებულმა საქართველოს სულმა, თუმც იგი შეიქმნა თამარის გვირგვინის საუკეთესო ბრილიანტი, მაგრამ შავმა ბურუსმა მალე მოიცვა საქართვე-

ლოს პოლიტიკის ცის გუმბათი, მალე დაბნელდა ერის დიდების ბრწყინვალე მზე. საშუალო აზის ბარბაროსთა საშინელმა გრიგოლმა ულმოთ დაუწყო ლეწვა კოლხიდა-ივერიის სამეფო წყობილებას, ეკონომიკას და სულიერ კულტურას.

შვიდი საუკუნე გრგვინავდა შავსა და კასპიის ზღვებ შორის ეს მკაცრი გრიგოლი, რომლის ძლიერების ქვეშ იგრიბოდა, ფოთლებ და მტევნებ დაცვენილ ვაზივით, პაწია საქართველო. შვიდასი წელი კვნესდა ქართველი, ამირანივით მიჯაჭული კავკასიონის ქედზე, შვიდი საუკუნე სდინდა ქართველის სისხლი და ლებავდა წითლათ კოლხიდა-ივერიის ველსა და მთებს. ვიღას ახსოვდა იმ დროს მწერლობა, პოეზია, ხელოვნება და მეცნიერება! არავინ იცოდა, თუ რა ახალ რისხეას მოგვრიდა ხვალინდელი დღე. ყანაში წასულ მუშას არ ეგონა თუ კიდევ ნახავდა ცოცხალს თავის ცოლ-შვილს. ცალ ხელში მახვილი და ურიცხვ მტერთა მოგერება, მეორე ხელში კავი, გუთანი და ოჯახის რჩენა,—აი, პაწია ერის ხვედრი შვიდას წელს! ლაშა გიორგის დროიდან სიმწრით ამოწვდილ ქართველ ხმალს არ დაუსვენია ერეკლე II-ს სიკვდილამდე.

შავმა ბურუსმა, კვნესა-ტირილმა და თავ-განწირვაშ მოიცვა მთელი ქვეყანა. ამ დროს დაავიწყდა ყველას ივანე პეტრიწი და თმოგველი, ჩახრუხა და შავთელი; მათი მალალი რიტორიკა და თამარის ქებათა-ქება აღარ ხიბლავ-დენ ქართველს. ტანჯულ ერს ეჭივრებოდა სულ სხვა მგოსანი და აპა მისი ნუგეში შეიქმნა შოთა, ეს დიადი პოეტი, ფილოსოფოსი და ჰუმანისტი. შოთას ღვთიური ჰანგები ღრმათ ჩაწვდენ ერის მკვნესარე სულს, გაამხნევს იგი, გაუღვიძეს იმედი და სცხეს გამკურნავი სალმუნი.— „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა“, „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელია“, „სჯობს

სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“, „კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცია ქსელის მბეჭველსა“, „კაცი თუ ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“, „ღმერთი ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირთა იგრძნობს“... აი, ამ საგმირო და საიმედო ხმებს ბეგრძა მძლავრათ რუსთველის ჩანგი! აი, ამ სიტყვებს და მთელ პოემას სწავლობდა ზეპირათ ქართველი ქალი, უმღერდა მას ბრძოლაში დაჭრილს ან ომში წასასვლელათ გამზადებულ ძმას, მამას, ქმარსა და შვილს, ამხნევებდა მათ და მათთან ერთათ გმირულათ ებრძოდა მტერს, ვინაიდან თვით შოთა-საგან იცოდა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

შოთა შეიქნა ქართველის მოძღვრათ. მისი ზენაარი სული და ციური ქნარი ცეცხლას სვეტივით წინ უძლოდა ტანჯულს, გზა დაბნეულ ერს, ამხნევებდა, აძლევდა ნუგეშს და ამხელდა უკეთეს მომავალს. ჩვენ არა ვგონებთ სხვა რომელიმე პოეტ-გენიოსს გაეწიოს თავის ერისთვის იმგვარი ამაგი, რაც ჩაიდინა შოთამ. აა სადა ამ შგონის შიდიადე! შოთა თითქო გრძნობდა წინასწარ თავის ერის შავ ბედს. მუზამ თითქო შთააგონა მას, რომ ერის დიდების დროს დაეწერა ეს გაჭივრებაში გამამხნევებელი პოემა და გამოეყვანა შიგ თავის გმირთა ტანჯვა, წვალება, შევიწროება და ბოლოს მიზნის მიღწევა და სიხარული. ეს პოემა შეიქნა ერის სარკეთ; მასში ქართველი მზერდა თავის შავს ხვედრს. აქ ქართველი თავს სახავდა ტარიელათ, რომლის სატრფო ნესტანი ე. ი. სამშობლო ტყვეთ ყავდა ქაჯებს, ე. ი. სპარსელთ და თათრებს. ამიუტომ არაა გასაკვირი თუ „ვეფხის ტყაოსანი“ შეიქნა ქართველისთვის მეორე სახარებათ, თვით სახარებაზე უუტ-

კბესათ და უფრო სამნიშვნელოთ; არაა გასაკვირი; თუ თავადი და გლეხი, დიდი და პატარა ერთგვარი ხალისით სწორობდენ მას ზეპირათ, ბაძავდენ მას და ხმარობდენ იგავებათ მის აფორიზმებს; ნუ გიკვირთ თუ დღესაც მივარდნილ სოფელში შეხვდებით რომელსამე უვიცს გლოხუას ან ზალიკას, რომელნიც ზეპირათ გეტყვიან თითქმის მთელ „ვეფხის ტყაოსანს“; ნუ გიკვირთ თუ იმ დროს ქალს ატანდენ მზითათ ამ პოემას.

„ვეფხის ტყაოსანის“ მნიშვნელობას მეტათ ახასიათებს ერთო ფაქტი, რომელსაც აკაკი იხსენიებს თავის ლექციაში: ერთ თავადს გაუთხოვებია ქალი და, ეჭვი არაა, გაუტნევია მზითათ შოთას პოემა; სიძეს კი უკანვე დაუბრუნებია იგი. ამას ისე გაუკვირვებია სიმამრი, რომ დაუწერია ამ გვარათ:

— „ქალი მუჟვდა ედემს ზრდილი  
ოქრო სუჭუჭე თმასასან,  
გავათხოვე, მზითად მიგეც  
ჩემი „ვეფხის ტყაოსანი“,  
ისევ უან დამიბრუნეს  
ჩემი „ვეფხის ტყაოსანი“,  
გამიკვარდა, -რა ვეძრასო,  
თურმე იუდ სვანისანი.“

ესე იგი უვიცი და უმეცარიო.

ისტორიულმა გრიგალმა დაგლიჯა საქართველო; შესწყდა მის ნაწილებ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირი. მაგრამ სამი რამ ამაგრებდა მათ, ვით უხილავი ფიქალი, და იცავდა მტკიცეთ დამსხვრევა-მოსპობისაგან. ეს სამი რამ გახდათ: სჭული, ენა და „ვეფხის ტყაოსანი“. აი, ამ სამი რამით ეკავშირებოდენ.

ერთმანეთს გურული და მეგრელი, იმერი და ქართლელი, კახელი და მთიული, სვანი და აფხაზი. იმათ შეინახეს ერის ერთობა და მოიყვანეს დღემდი ცოცხალი.

დადგა მეცხრამეტე საუკუნე. აქ ერთბაშათ შეწყდა ერის პოლიტიკური დამარი. ქართველის ცხოვრებამ მიიღო სულ სხვა ელფერი. შავმა საუკუნოებმა ძლიერ დაჩაგრეს და დააბეჭავეს ქართველი ერი, სისტემატიურათ გაწყვიტეს იგი და 4—5 მილიონიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაიყვანეს ერთ მილიონამდი. ერთ დროს მთელი აღმოსავლეთის რისხვა და ტონის მიმცემი, ერთ დროს ევროპაზე უფრო განათლებული საქართველო დღეს წარმოადგენდა ერთ ბეჭავს, უმეცარს. სნეულ არსებას, რომელიც ძლიერ-და სუნთქვდა.

ამავე დროს კი ევროპას დიდი ნაბიჯი წაედგა წინ, მოეპოვა დიდი სიმდიდრე და განათლება. ახლა ვიღას ახსოვდა სადღაც შავიზღვის პირას მიტყებილი მკვდარ-ცოცხალი პარტია ერი! ახლა ვიღას ახსოვდა მისი ენა, მწერლობა და პოეზია! ევროპა და საქართველო ძლიერ დაშორდენ ერთმანეთს; მათ შორის ჩადგენ რუსი და ოსმალი. თუმც ეს ერთი საუკუნეა ვეცნობით ევროპას და მის კულტურას, მაგრამ დღესაც კი ქართველი განათლებულ ფრანგს მიაჩნია რაღაც ზღაპრულ იაზონის დროინდელ არსებათ. დღეს არც იციან თუ კვლავ სული უდიგია იმ ერს, რომელსაც ეკავა ერთ დროს მთელი მცირე აზია, მესოპოტამია და კავკასია, რომელმაც მისცა განათლება ძეველ ბერძნებს, და მით მთელს ევროპას, რომელიც აკავშირებდა ძეველს კულტურულ ერებს, იყო მსოფლიო აღებ-მიმცემობის ნასკვი, შეასწავლა კაცობრიობას გეოგრაფია და მეტალურგია, ამარცხებდა ეგვიპტის ფარაონებს და აშურ-ბაბილონის მეფეებს, იყო აზიის ცისკარი და მამადის დროშის რისხვა. დიახ, დღეს უმაღურ

ევროპას არ ახსოვს ის გმირი, მამაცი ერი, რომლის გრძელი ისტორია შეუწყვეტელი ტრაგედიაა, რომლის კავკასიონის კლდეზე უმაგრეს ფოლად ვულზე 7(11) წელს იმ-სხვრეოდენ ბარბაროსთა ზღვა-მხედრობის საშინელი ტალ-ლები და რომელმაც გმირ ლეონიდეს მზგავსათ შვიდ საუკუნეს შეამაგრა შმაგი მუსლიმი, დაიცვა მათ ზვიადობიდან მთელი ევროპა და მისცა საშუალება თავისუფალი ზრდის და განვითარების. მსოფლიო ისტორიის საიდუმლო კანონმა ინება, რომ ქართველი ყოფილიყო უშიშა-რი რაინდი, უძლევი ივანგარდი და თავის სისხლით გა-დაერჩინა დასავლეთის ქვეყნები საშინელ ხითათისაგან. ეს საოცარი ერი კი დავიწყებული ყავს დღეს უმაღურ ევ-როპას და გარდა რამდენიმე მეცნიერ-ორიანტალისტთა, არავის ახსოვს იგი. სჩანს, ასეთია ზოგიერთი ხალხის ბე-დი და ისტორიის უმაღურობა!..

ამას შემდეგ განა გიკვირთ, რომ ევროპა-რუსეთში ფრიად ცოტა მკვლევარი ყავს ჩვენს ძველს მწერ-ლობას და კერძოთ „ვიტხის ტყაოსნის“! არამც თუ უცხოეთში, ჩვენშიაც კი ორ-სამ ადამიანს თუ ესმის შეგნებულათ ამ პოემის ენა, მისი ღრმა პოეზია და ფილოსოფია. არამც თუ უცხო ენაზე, თვით ქართულათაც კი არ არსებობს დღემდი ამ პოემის სერიოზული კრიტიკა, გან-ხილვა და გამოკვლევა. მართალია, ჩვენ გვაქვს „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ უცხოსა და ქართულ ენებზე რამდენიმე წიგნაკი და უურნალ-გაზეთებში გაბნეული წერილები, მაგრამ თითქმის ყველა ეს ან არის პოემის ფრიად ზე-რერე და ვიწრო განხილვა, ან სხვისი ნათქვამის განმეორება, ან უმცირული ჭირდვა, ან ჭარბი, უნიადაგო ქება-თა-ქება. ერთ წიგნზე ვერ მიმითითებთ, რომელსაც კი ჭონდეს ღრმა კრიტიკული ხასიათი. მიზეზი ადვილი ასა-სსნელია: „ვეფხის ტყაოსნის“ ღრმათ გამხილველმა და

და კრიტიკმა ევროპის ლიტერატურასთან ერთათ უნდა იკოდეს საფუძვლიანათ საქართველოს ისტორია, ქართული ენა და ძველი მწერლობა. ამ გვარი პირი კი ჩვენში ძლიერ იშვიათია.

არამც თუ კრიტიკულათ განხილვა, ჯერ ისიც კი არ ვიცით თუ რა უდევს დედა-აზრათ და სიუჟეტათ ამ უკვდავ პოემას. ამის შესახებ მრავალი უსაფუძლო აზრებია ჩვენში გავრცელებული, ამიტომ ამ წიგნში ჩვენ ვეცდებით მივაწოდოთ მყითხველს სრულდად ახალი შესედულება ამ საგანჩენა, რომელმაც, ჩვენის აზრით, შეიძლება გაუადვილს „ვეფხის ტყაოსნის“ მომავალ კრიტიკასს ამ დიდებული პოემის შეგნება და საზრიანათ განხილვა.

სანამ კი რამეს ვიტყოდეთ პოემაზე, საჭიროა მოკლეთ შევეხოთ თვით პოეტს და მეტადრე იმ ეპოქას, რომელმაც წარმოშვა იყო. შოთა არ მოვლენია საქართველოს უციცივ, როგორც ციური ტატანი. ის იყო ღვიძლი შეიძლი თავის ერის და დროისა. მას მოუმზადა ნიადაგი საუკუნოებმა და მწერალთა მთელმა გროვამ. იალბუზი არ დგას ლიტონათ, ირგვლივ მოჩანან მთების მაღალი მწვერვალნი, რომელთა შორის ცამდე აწვდილა და დაჰყურებს გოროზათ მთელ ქვეყანას ეს ბუმბერაზი. მისი თეთრი ქლიჩორი და ბროლის გულ-მკერდი კიაფობს ათას ფანტასტიურ ფერებათ მთვრის ნაზოვან შუქზე და მზის სხივებზე. აგრეა შოთაც; დიდ ნიჭიერ მწერალთა შორის თავის გენიით იგი აღვიდა ცამდე და შეიქმნა წარსულ საუკუნეთა წყვდიაღში უმწეო ერის კანდელი.

## II.

დადგა მეთორმეტე საუკუნე. მოელო ბოლო საქართველოში არაბთა ბატონობას. კიდევ წინათ ბაგრატ დიდის მტკიცე მარჯვენამ განათავისუფლა ერი სამასი წლის

მონობიდან. დავით ალმაშენებლის მახვილმა დასკა რისხვა-  
მტარვალთა ზეიადობას და გასწმინდა მათგან მთელი სა-  
ქართველო. ამ მეფე-სარდალის ღიღებულმა გენიამ განა-  
მტკიცა ერის პოლიტიკური და კულტურული ფუძე და  
ააშენა ქვეყანა ნივთიერათ და სულიერათ.\*)

დამშვიდდა თანდათან მრალალ ტანჯული საქართვე-  
ლო. შეწყდა იქ ბარბაროსთა ნავარდი, შეგროვდენ სა-  
ერთო დროშის ქვეშ მისი სხვა და სხვა კუთხენი და შე-  
ქმნეს მტკიცე ერთობა.

კოლხიდა-ივერიის ცის კიდურზე ამოაშუქა ქართვე-  
ლი სულის განახლების ცისკარმა. საქართველოს დაუდგა  
ოქროს საუკუნე. დაიწყო იგი დავით კუროპალატით და.  
დაგვირგვინდა ბრწყინვალე თამარათ.

მიდიოდა წინ საქართველო პოლიტიკურათ; ვითარ-  
დებოდა მისი ნივთიერი და საზოგადო ცხოვრება, იფურ-  
ჩქნოდა მისი სულიერი კულტურა. ქართველ მეფეებს შე-  
ეფუარენ სომეხი, ოსი, ჩერქეზი და ლეკი. საქართველო.  
გაიზარდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდი, კავკასიონის-  
ქედიდან ვანქის ტბამდი და ტრაპიზუნამდი. მის საზღვრებ-  
შორის იყო მთელი ამიერ კავკასია და მცირე აზიის ნა-  
წილი. ამოდენა სამეფოს ყოველი კუთხენი შეიმკო ციხე-  
ქალაქებით, ტაძრებით და შეოლებით; ველი და ბიაბნე-  
ბი წყლის არხებით; უსიერი ტყენი, უდაბნო ხევები და  
მაღალი მთები დაშვენდენ კოხტა ეკლესიებით, ციხე-კოშ-  
კებით და მონასტრებით. ნადირთ ღმუილთან და ზარ-

\* ) საფრანგეთის მწერალი გოტიე ეხება დავით მეფის ბრძო-  
ლას ემირ ილგაზთან და ამბობს, რომ ემირის ჯარი შესდგებოდა-  
600,000 კაციდანაო. დავით მეფის მხედრობა კი იყო მხოლოდ  
80.000-ო. მაგრამ დავითმა საოცრად დამარცხა მტერი და დაუხოცა-  
400,000 კაციო. თვით ილგაზი დაიჭრა თავში და გადარჩა ტყვეობას  
არაბთა მეფის დებეის წყალობითაო. (Additions et éclaire, p. 229.).

ნაშოს ძახილთან ერთათ ისმოდა მონაზონთ ნაზი გალობა და განდევილ ბერთა ოსანა და აღილუია. იმ ხანებში აშენებულ გელათს, მარტვილს, ბიჭვინძის, ვარძის და ბაგრატის ტაძარს თავის სიღიადით, ხელოვნურ და მხატვრულ სიშვენიერით ახლაც განცვითრებაში მოყავთ ევროპის მეცნიერნი და მოწმობენ ქართველი ერის მაშინდელ მაღალ კულტურას.

დავით კუროპალატის დიდმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა ააშენა საბერძნეთში (მაკედონიაში). დიდი მონასტერი და კუურთხა იქ ბერათი, დავით აღმაშენებელმა ჯვაროსნობის ომების დროს ააგო ერუსალიმს და სინას მთაზე მონასტრები. ყველა ეს წმინდა ალაგნი გაივსენ ქართველ ბერებით, გაივსენ ქართველ მეფე-თავადთა უხვი შეწირულებით, სიმღიდრით, ძველი წიგნებით და მალე ვარდიქცენ ქართულ აკადემიათ. თვით საქართველო-შიაც დაარსდა უმაღლესი შკოლები, მაგ., გრემსა და იყალთოში. იმ უცხოეთის მონასტრებში განვითარდა ქართული სალიტერატურო ენა და კალიგრაფია; იქ შემუშავდა ქართული ლექსიკონი; იქ შემნეს ქართული საგალობელნი; იქ აყვავდა ქართული ხელოვნება, სასულიერო მუსიკა და პოეზია; იქ განვითარდა ქართული თეოლოგია და ფილოსოფია; იქ თარგმნეს სასულიერო წიგნები და ელინთა კლასიკნი...

ამ მონასტრებში იგზავნებოდენ საქართველოდან უმაღლეს სწავლის მისაღებათ ნიჭიერი და მომზადებული ყმა-წვილები. იმ მონასტერთა მორჩილნი, შემდეგ კი ბერნი და მეთაურნი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, საბა, იონა ბერი (რაზმაძე), მიქელ მოდრეკილი, ივანე ჭირჭიმელი პეტრიწათ წოდებული, სტეფანე, არსენი და სხ., საუკუნოთ დარჩებიან ქართული თეოლოგიის, ფილოსოფიის და სალიტერატურო ენის მამამთავრებათ. ამ მოლვა-

წევბმა შეიტანეს ჩვენს მწერლობაში ქრისტიანულ-ასკე-  
ტიური სული.

ბიზანტია, ქრისტიანული ელინიზმი,—აი, დასავლე-  
თის წყარო, სადაც იღებდა ქართველი სულის საზრდოს.  
შაგრამ მის მეზობლათ აღმოსავლეთში სჩექფდა იმ დროს,  
კით ფერადა შადრევანი, სხვა დიადი კულტურა, რომელ-  
საც ეწაფებოდა აგრეთვე ქართველი. ეს შადრევანი იყო  
არაბთა ბრწყინვალე მონარქია და განახლებული სპარსე-  
თი. კორდოვა—ბალდადში დაარსდა უნივერსიტეტი, ლა-  
ბორატორია და ობსერვატორია, აღორძინდა მექანიკა,  
მედიცინა და ასტრონომია; აყვავდა პოეზია, მეცნიერება  
და ფილოსოფია.

იქ მზეებრ ბრწყინვდენ დიდებული მწერლები: ებნ-  
იუნის, ჯიაბერ, ავიცენნა, რაში, ალბუკაზის, ბენ-მუზა,  
ალხაზენ, აბდულრაჰმან-ჯაჰიმ, ალგაცალი და ავეროესი.  
მეათე-მეთოზმეტე საუკუნეში აყვავდა სპარსეთის მწერ-  
ლობა, განსაკუთრებით პოეზია და უზენაესათ განვითარ-  
და სპარსული ენა. დიდებული პოეტები აბდულ ქასიმი,  
ანუ ფირდუსი, შეიხ-საადი, ნიზამი, ჰაფიზა, მოლა-რუმი  
და ხაგან-შირვანი ამკობდენ ისპაჰან-თეირანის ძლიერ  
ტახტს. არაბული კულტურა, შეოლები, მეცნიერება და  
ფილოსოფია შეიქმნენ ერთ დროს ევროპის სულის გამ-  
ლვიძებელნი და მკვებავნი. არაბთა ხელში დიდხანს იყო  
საქართველოც. არაბს და სპარსელს დიდი გავლენა ქონ-  
დათ ქართველზე. ქართველმა კარგათ იცოდა მათი ენა  
და ზენ-ჩვეულება; ის დადიოდა არაბ-სპარსეთში. ქართულ  
ენაში უხვათ იყო სპარს-არაბული ტერმინები. ეჭვი არაა,  
ქართველი უნებლიერ წაბაძავდა მათ და შეითვისებდა მათ  
ელფერს. აღმოსავლეთი და დასავლეთი, მუსლიმი და ქრი-  
სტიანიზმი,—აი, რა მოქმედობდენ ქართველზე ერთსა და  
იმავე დროს და ქმნიდენ მის ფსიხიკას. ორი დიდი ოსტა-

ტი ყავდა საქართველოს: განათლებული ბიზანტიია თავის სხოლასტიკით და ქრისტიანულ ასკეტური ფიზიონომიით და კიდევ უფრო განათლებული არაბ-სპარსეთი თავის საერო ლიტერატურით, შეცნიერებით, მაღალი ფილოსოფიით, ციური პოეზიით და ეროტიული ლირიზმით. ქართველის სულში შეზავდენ დასავლეთ-აღმოსალეთის კულტურის ელემენტები, მოახდინეს. რეაქცია, ააფრთხოვანეს, ქართული სული, ააფერადეს და გაამდიდრეს ენა, შექმნეს ახალი კულტურა, ახალი საერო მწერლობა. საქართველოს საერო პოეზიის მამამთავრებათ შეგვიძლია დავსახოთ ძაგნაკორა, მოსე ხონელი, სარგის თმოველი, ივანე შავთელი და ჩახრუხა, მაგრამ გვირგვინი საერო პოეზიისა და დიდება ქართველი ერისა კი არის დიდი ჰუმანისტი შოთა რუსთაველი.

### III.

ვინ იყო შოთა? სამწუხაროთ, ისტორია და ზეპირ-გადმოცემა დღემდი ბევრს ვერას გვეუბნება. ვიცით მხოლოდ, რომ ეს დიდებული გვამი იყო თამარ მეფის მოლაპე და კარის კაცი, შთამომავლობით მესხი დაბა რუსთავიდან; ამას, ე. ი. თავის შთამომავლობაზე მოგვითხრობს თვითონ თავის პოემაში.

რა გვარი იყო იგი? ნამდვილათ არ ვიცით; ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ ერთ საგულისხმო. რამეს: როცა დემა აუჯანყდა თავის ბიძას გიორგი III-ს და გამაგრდა ლორის ციხეში, იქ მის მომხრეთ, სხვა წარჩინებულ გვამთა შორის, ყოფილა შოთა ართავაჩოს ძევინ უნდა იყოს ეს შოთა, რომლის ვინაობა ჩაიწერა. „ქართლის ცხოვრების“ კაბადონში? ჩვენის აზრით, რა-საც ქვემოთ განვიხილავთ უფრო ნათლათ, ის პირი უნ-

და იყოს შოთა რუსთველი. მართლაც იმ დროს ფრიად დაწინაურებული ყოფილა მესხეთი და ბევრი გამოჩენილი კაცი გამოდიოდა ამ პროვინციიდან.

სად აღიზარდა შოთა? შედარებით ახალი მწერლობა და ზეპირ-თქმულება გვამხელენ, რომ იგი აღზღიულა ათინაში ანუ უკეთ ათონის მონასტერში,\* მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არ უნდა იყოს მართალი. შოთას რომ განათლება მიეღო საბერძნეთში, მას ეცოდინებოდა ბერძნული ენა, ლიტერატურა და თავის ნაწერებში ნებით თუ უნებლივთ შეიტანდა ელინურ სულ. მისი პოემა კი სულ სხვას გვიმტკიცებს. იქ არავითარი ეჭინური და ქრისტიანულ-ასკეტური არაა. იგია თავიდან ბოლომდი ერთიაული ხასიათის. იქ სულმნათი შოთა გაფლობს ყენაარ სიუფარულს, შიგ ხჩის აღმოსავლეთური შელანქფლია, რაინდობა, ფატალიზმი, ცრუმლები და სპარს-არაბული ენა, სული და ტენდენცია. დაუჯერებელია და ფსიხოლოგიის კანონის წინააღმდეგი, რომ კაცს მიეღოს განათლება დასავლეთში, მისი სული, ენა და ხასიათი განეგდოს და აღმოსავლეთურს კი ხმარობდეს. რაც უნდა ნილაბი მოიფაროს მწერალმა, რაც უნდა უარყოს ეს გავლენა, მაინც თავის უნებლივთ შეეპარება იგი თავის ნაწერში. ასე მოუვიდოდა შოთასაც, მაგრამ მის პოემაში არავითარ მზგავსს ვერ ვხედავთ, გარდა იმისა, რომ აქვს ნახმარი ერთხელ პლატონ ფილოსოფოსი და მეორეთ დიონოსი და სოფრატ ბრძენი. ამ ორი-სამი კაცის სახელის ცოდნისათვის, ვვონებ, არ იყო საჭირო არც ბიზანტიაში და არც ათონის მონასტერში აღზრდა.

მაშ სად ისწავლა შოთამ? როგორც ვიცით, უცხოეთში არსებობდა განათლების სამი კერა, სამი ქართული

\*) ერთ დროს სწავლა-განათლებით განთქმული ათინა, შოთას დროს არაფერს წარმოადგენდა. იმ დროს პოლიტიკის ცენტროდა განათლების ჭერა იყო კონსტანტინოპოლი.

აკადემია, სადაც ქართველი ნიჭიერი ახალგაზღობა იღებდა და ცოდნას. ეს იყო სამი მონასტერი: ერთი საბერძნეთში, მეორე ერუსალიმში და მესამე სინას მთაზე. აღვილათ შესაძლებელია რუსთველმა გზად გაიარა საბერძნეთში და რამდენსამე ხანს დარჩა ათონის მონასტერში\*). მაგრამ ნამდვილი აღზრდა კი უნდა მიეღო ნას ან ერუსალიმში, ან სინას მთაზე. ორივე აღმგენი კი აღმოსავლეთშია, არაბთა მეზობლათ. უფრო სარწმუნოა, რომ შოთას სწავლა მიეღოს ერუსალიმის მონასტერში, სადაც შემდეგ შესდგა კიდეც ბერათ. იქ აღვილათ შეეძლო მას გაცნობოდა არაბ-სპარსულ ენასა და მწერლობას, ენახა კიდეც ეს ქვეყნები, იქ შეეძლო შოთას გამსჭვალულიყო აღმოსავლეთური სულით და ტენდენციით; აქედან მისი ჩანგის ორიანტალური კილო, ენა, ალევორია, ფატალიზმი და ეროტიზმი. სიტყვა შმაგი, მიჯნური, აჯა, ხოტბა, ყანდი, ხალვა, თაბბირი, ალყა, ფარმანი, ეშმა, მულიმი, ზამი, არიფი, და სხ. შოთას პოემაში ნახმარნი ან სპარსულია, ან არაბული.

ზეპირ-გარდმოცემა გვამხელს, რომ ამ დიდებულ კაცს, შოთას ღალატობდა ცოლიო; უბრალო მონა, ბინძური ზანგი შეიყვარაო: შოთამ შეიტყო ეს, მოკლა მთხრობელი, თვით კი გადიკარგა სამშობლოდან და შესდგა ბერათ ერუსალიმის მონასტერშიო.\*\*)

ღალატობდა თუ არა შოთას მისი ცოლი, ეს ნამდვილათ არ ვიცით; დაუჯერებელიც აქ არაფერია; დიდებულ პირთ და მეტადრე პოეტებს არა იშვიათათ ემარ-

\* ) ეს შრომა დამთავრებული მქონდა, როცა იასე რაჭველმა გადმომცა, რომ მას უნახავს ათონის მონასტერში შოთა რუსთველის წარწერა, სადაც სჩანს, რომ დიდ პოეტს გზათ გაუვლია და უნახავს ეს მონასტერი. ავტორი.

\*\*) ან. ფურცელაძე: „შოთა რუსთველი და მისი ცოლი“.

თებათ ეს მარცხი. მიზეზი ისაა, რომ მათი სული ფრენს შეტათ შორს და ელტვის მაღალ სანატრიონებს. მათი გული სავსეა პოზიტივის, შვენიერების, ერის, სამშობლოს და სხვა ზენაარ საგანთა სიყვარულით და თანდათან გრილ-დება ცოლისადმი. საზოგადოთ ცოლებს არ უყვართ მაღალი იდეალები. ესენი უფრო რეალიზმს ქურუმობენ, ამიტომ ცოლები უხდიან ნაცვალს ამ დიდებულ პირთ. აქედან იწყება ოჯახური დრამა და ტრაგედია. ხოლო ის კი უტყუარი ფაქტია, რომ შოთა აკვეცილა ბერათ ერუსალიმში, დამარტინულა იქვე და დღესაც ამშვენებს იქ ქართულ მონასტრის კედელს ამ დიადი მგოსნის სურათიარ იქნება მეტი აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რასაც მოგვითხრობს ისტორიკი ფარსადან გორგიჯანიძე: თითქმ შოთა წარეგზავნოს ელჩათ რუსუდან დედოფალს თათართა ყაენის მიმართ. საიდან იყო ეს წარეგზავნა, საქართველოდან თუ ერუსალიმიდან, ჩვენ არ ვიცით.\*)

დასწერა თუ არა შოთამ სხვა რამე გარდა „ვეფხის ტყაოსნისა“? ეჭვს გარეშეა, რომ ექნებოდა დაწერილი-ყოვლად შეუძლებელია თუნდ ძლიერ გენიოსმა კაცმა-პირ-და-პირ დასწეროს ასეთი მწიფე და ღრმა პოეტურ-ფილოსოფიური შედევრი, როგორც პოემა „ტარიელია“. მის ავტორს უნდა ეწერა წინათაც ბევრი, უნდა ევარჯიშნა დიდხანს ენა, კალამი და შემდეგ შეექმნა ეს პოემა. ამ რიგათ შოთას ექნებოდა სხვა ნაწერებიც, მაგრამ იმათ ჩვენამდი ვერ მოაღწიეს, გარდა ორ იამბიკოსი, თქმული ერთი ხალიფას დროშის და მანიაკის მირთმევის. დროს, გელათში ხახულის ღვთისმშობლის ხატს რომ მიართვა: თამარმა, და მეორე თვით იმ ხატზე წარწერილი. არის კიდევ დარჩენილი ერთი დიდებული აფორიზმი, რომე-

\*.) იხ. დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრისტომატია.“ 1863. წ. ვვ. 208. შესამე ნაწილი.

ლიც უთქვამს შოთას ზმნათ რაჭის ერისთვის კახატერის  
ნადიმზე, საღაც ბძანდებოდა თამარ მეფე თავის ბრწყინ-  
ვალე ამალით. აი ის ლექსიც:

„ფილოსოფიური შემთხვებები  
ამაზე ჰქონდათ ცილია:  
ბატონი უმას ასაქმებს  
და ჭიქას გამოცდილობა;  
ათასად გვარი დავასდა,  
ათი ათასად ზრდილობა,  
თუ გაცი თავად არ გარგა,  
ცუდია გვარიშვილობა.“\*)



შოთას დანარჩენი ნაწერები კი ჩანთქა ქრონიკის  
ლუმბრამ, ისე როგორც სხვა მრავალი ნაწარმოები ქარ-  
თველის გონებისა.

რომ რუსთველს უწერია სხვა რამ თამარზე, ეს სხანს  
მისივე სიტყვებიდან:

„ჩემი აშ სცანით უოგელმან,  
შას ვაქებ, ვინცა მიქია!  
ეს მიჩნს დიდათ სახელად,  
არ თავი გამიქიჭა“.

არც ერთბაშად გაჩნდებოდა ამისთანა გენიოსი. ამ-  
გვარ კაცს შობს კულტურული ერი ათას წლობით მხო-  
ლოდ ერთს. ამგვარი პირი იჩენს თავს ერის სულიერ  
ცხოვრების ზენაარ აფრთვანების დროს. ამისთანა აღმა-

\*) ეს თქმულება გაღმომცა ქართული ენა-მწერლობის დიდათ  
მცოდნემ აშ განსვენებულმა თ ნიკო ტ. დადიანმა.

ფრენა კი ეწია ქართველს თამარის მეფობაში, როცა სა-ქართველო გაიზარდა დიდ პოლიტიკურ ძალათ და აყვავ-და ნივთიერათ და კულტურულათ. შოთას კი ნიადაგი შეუმზადა მგოსანთა მთელმა პლეადამ, რომელთა შორის მზებრ ამობრწყინდა ეს დიდი გენიოსი ქართველის სუ-ლის მანათობელათ საუკუნეთა წყვდიადის და ტანჯვების წელთა სრბოლაში.

#### IV.

ბელეტრისტულ ნაწარმოების დასაფასებლათ საჭიროა განვიხილოთ როგორც ფორმა და ტექნიკა, აგრეთვე მი-სი სული, ე. ი. დედა-აზრი. სიუჟეტი კი ის ჩონჩხია ანუ ქსელი, რომელზედაც არის აგებული და მოქარგული ნა-წარმოები. ხშირათ სიუჟეტის შევნება და ანალიზი გვა-ძლევს საშუალებას შევიგნოთ სრულიათ თხზულების სუ-ლი და მისი დაფარული მავთულები. ამიტომ საჭიროა ვცნოთ თუ რამ გამოიწვია ქვეყნათ ამისთანა შედევრი, როგორიცაა „ვეფხის ტყაოსანი“.

„იღიადას“ დაედვა სარჩულათ ელინ-ტროელთა ს-შინელი ომი; „შაპ-ნამეს“ — ერან-თურანთა ბრძოლა და სპარსეთის ღინასტიის გაძლიერება; „ღვთაებრივ-კომე-დიას“ — გველფ-პიბელინთა ომები, „ფაუსტს“ — ვადმანის მოთხრობა ღოქტორ ფაუსტზე; შექსპირის დრამებს, — ინგლისური დრამები და ფრანგულ-იტალიური ნოველები. ნეტა რა დაედვა სარჩულათ პოემა „ტარიელს“, რომე-ლიც თამამათ შევიძლია დავაყენოთ ზემო თქმულ დი-დებულ ნაწარმოებთა გვერდით, ან რა არის ამ პოემის დედა-აზრი!?

ამის შესახებ გამოთქმულია ცნობილ პირავან რამ-დენიმე აზრი. მაგრამ სანამ ამათ განვიხილავდეთ, არ იქ-

ნება მეტი შევეხოთ შაბლონურ აზრს შოთა-თამარის სი-  
კუარულის შესახებ, რომელიც გავრცელებულა ჩვენში.

არსებობს აზრი, თითქო რუსთველს ყვარებოდეს თა-  
მარ მეფე და ამ გარემოებას წარმოეშვას ეს უკვდავი  
პოემა, რომელშიაც თითქოს სჭვირს პოეტის აღზნებუ-  
ლი ვნება თამარისადმილ. ერთი სიტყვით, შოთას სიყვა-  
რულია თურმე ის ფუძე, რაზედაც აუგია მას თავის პო-  
ემა.\* ) დასამტკიცებლათ მოჰყავთ პოემიდან შემდეგი ლექ-  
სები:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა  
სისხლისა ცრემლ დანთხეული,  
გსთაქმენით ქებანი გისნიმე  
არ ავად გამორჩეული.  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა  
და კალმად მინა თხეული,  
ვინცა ისმინდს დაქსვას  
დახხარი გულსა ხეული.  
— „მე რუსთველი ხელობითა  
გიმე საქმესა ამადარი,  
ეის მონაცემობს ჯარი სპათა,  
მისთვის კხელობ, მისთეის მკვდარი,  
დავუძლურდი მიწნურთათვის,  
შეგლავ წამალი არსით არი,  
ანუ მომცეს განკურნება,

\* ) ამგვარი აზრი გამოთქვა აგრეთვე ბ. მურავიოვმა; იხ. მისი „Грузия и Армения“ 1848 წ. გვ. 216—235; და ბ. ალ. ს—მა; იხ. მისი „ვეონის ტყაოსნის ყალბი ადგილები“, „მოამბე“ № XI 1895 წ. დვ. 16 და 19. ავერივე აზრი გამოთქვეს სტალინსკიმ და რ. ყინვარმა. იხ. P. კინვარი: „Въ Барсовой кожѣ“. გვ. I—III.

ასე შინა მე სამართ. „  
 — „თვალთა შისტან უნათლოთა  
 უნატრიაშვილი ახლად ჩენა,  
 აჭა, გული გამიჯვეურდა,  
 შისლობია ველთა რბენა“ და სხვ.

აქ დაუკერებელი არაფერია. აღვილათ შეიძლება პოეტს შეუყვარდა ზენარის გრძნობით საქართველოს ცისკარი შვენება თამარ; შესაძლოა თამარმაც თანაუგრძნო მგოსანს და მათ შორის დაარსდა საიდუმლო კავშირი. როდის უნდა ყოფილიყო ესა? ან ქალის გათხოვებამდი, ან გათხოვების შემდეგ. გათხოვებამდი თამარი იყო თავის სასტიკ მამის და განათლებულ მამიდას მფარველობაში გათხოვების შემდეგ მისი ქმარი და პატრონი შეიქმნა ჯერ გიორგი და შემდეგ ლამაზი მხნე ჭაბუკი დავით სოსლანი.

პოემაში კი სჩანს, რომ შოთას იგი დაუწერია თამარის მეფეთ კურთხევის და დავითზე გათხოვების შემდეგ; აგრეთვე უმთავრესი გმირი ქალი პოემისა თამარისა. თამარისავე ბძანებით ან უკეთ ნებართვით არის დაწერილი ეს პოემა, როგორც თვით ავტორი მოწმობს:

„მიბრძანეს შათთა საქებრად  
 თქმა დექსების ტბილისა...“  
 — დამარს ვაქებდეთ მეზესა“ და სხ.

აქედან სჩანს რომ, თამარის გარდა სხვასაც უბძანებია, ან მიუცია ნება ლექსების დაწერისა. მარტო თამარი რომ ყოფილიყო, იტყოდა „მიბრძანა მისდა საქებრად“ და არა „მიბრძანეს მათთა საქებრად“-ო. ეს უკანასკნელი ფორმა კი მრავლობითია. მაში ვის ეჭივრებოდა კიდევ

ქება და ლექსები თამარს გარდა? ეს იყო მისი ქმარი და უით სოსიანი. რა იყო ამ ბძანების მიზეზი, ამას ჩვენ გავარჩევთ ქვემოთ. დაუბრუნდეთ საგანს.

ჯერ დღეს, მეოცე საუკუნეში, როცა ევროპის მეფეთა სასახლეში მოხდება ხოლმე ამგვარი რამ და ვინმე კარის კაცი შეიყვარებს დედოფალს ან მეფის წულს, ცდოლობენ მაშინვე დაფარონ ეს ამბავი სასტიკათ და უოველივე მოიცავან საიდუმლოებით. რალა უნდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნეში, როცა სასახლის ეტიკეტი და საქრისტიანო მორალი იყო გაცილებით უფრო მტკიცე და მძაფრი?

შოთა, უბრალო შინაუმა, ქვეშევრდომი იყვარებს თუნდ პლატონიურათ საქართველოს ღვთაება თამარს, ესეც თანაუგრძნობს მგოსანს და აძლევს ნებას, აუწყე ქვეყანას ჩვენი სოციარული და აქე მიჯნურობაო... განა ეს დასაჯეროა?! ფანა ბრძენი დარბაისელი თამარი ასე გაირყვნა, ასე შეიშალა ჭუით, რომ ამგვარი ბძანება მისცა?! ეს აზრი ამცირებს თამარის ლირსებას; ეს აზრი იმსხვრევა საღი მსჯელობის წინაშე, ვით სუსტი ფაიფური.

მაშ რას ნიშავს ეს ზერე მოყვანილი ლექსი; ეს თამარის ცრემლ-დანთხეული ქება, ეს მელნათ ნახმარი გიშრის ტბა, ეს პოეტის გულის გამიჯნურება, გახელება და სხ.? ეს სიტყვები სრულებითაც არ სახვენ შოთას სიყვარულს თამარისადმი. მართალია, ჩვენ გვათიქრებენ ის ლექსები ასე ლიტონათ აღებულნი, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სხვა ლექსებთან ისინი გვამცნევენ სულ სხვარამეს. მართალია, რუსთველი მოთქვამს თამარს, ხმარობს მელნათ მის გიშრის ტბას ე. ი. მის ცრემლებს, მაგრამ ესაა გამოწვეული ურთიერთ შორის სიყვარულით კი არა, არამედ სულ სხვა მიზნით, რაზედაც გვექნება ფრცელი საუბარი.

შოთას გულის გამიჯნურება არის მხოლოთ პოეტური აღმაფრენა, ზეშთაგონება და არა ვნება და სიყვარული. შოთას სიტყვები: „დავუძლურდო მიჯნურთათვის, კვლავ წამალი არსით არი,“ აშკარათ ნიშნავს, რომ მას სახეში ყავს ორი შეყვარებული და არა ერთი, რადგან „მიჯნურთათვის“ მრავლობითი ფორმა. შოთამ კი, ვგონებ, ჩვენზე უკეთ იცოდა ქართული ენა და გრამატიკა, ამიტომ მას რომ სახეში ყოლოდა თავის სატრფო, იტყოდა დავუძლურდი სატრფოსათვის ანუ მიჯნურისთვის და არა მიჯნურთათვის. მასთან მიჯნური ნიშნავს შეყვარებულ კაცს და არა ქალს. შეყვარებულ ქალ-ვაჟზე კი ითქმის მიჯნურნი მიჯნურთათვის და სხ.

ნეტა ვინ არიან ეს ორი შეყვარებული, ეს ორი: უმთავრესი გმირი და საგალობელი საგანი პოეტისა? ერთია ნესტან-დარეჯან, ე. ი. თამარი, მეორე კი ტარიელი, რომელსაც კიდევ უფრო მწვავეთ გლოვს და სტირის რუსთველი. ვინაა ეს ტარიელი? იგი ჯერ საიდუმლოა ჩვენთვის. აი ესა გვსურს სწორეთ, რომ გავიგოთ. ამას კი ვიტყით, რომ ტარიელ სრულიათ არ გავს შოთას, არც გარეგნობით და, კიდევ უფრო, არც ხარისხით და შთამომავლობით. შოთა უბრალო კაცის შვილია და მგოსანი, ტარიელი კი—მეფის შვილი, თამარის ნათესავი, ტახტის მეკვიდრე და სპასალარი.

დასასრულ ვიტყით, რომ თანამედროვე ლეგენდა შოთა-თამარის სიყვარულზე არის მხოლოდ მხატვე გონების ნაყოფი და სუსტი ოცნება.

## V.

ახლა განვიხილოთ მოკლეთ სხვა-და-სხვა ავტორთა აზრები „ვეფხის ტყაოსანზე“. დავიწყოთ აკაკიდან.

ჩვენი მცხოვანი პოეტი თავის სამს ლექციაში გვა-  
ცნობს ორგინალურ აზრს, თითქო შოთას პოემის გმირე-  
ბი იყვენ ქართველი ურის ტიპები. ტარიელ და ნესტან  
თავის სიწრფელით, გრძნობათა სიჭარბით, მარტივი სუ-  
ლით და გამბედაობით მეტათ გვანან ქართლელებსაო,—  
ბძანებს აკაკი; თინათინ და ავთანდილ თავის ღიალომა-  
ტური ნიჭით, მოხერხებით, მოთმენით და ვაჟკაცობით  
ნაშრდვილი იმერლებია. ფრიდონ თავის მკვირცხლი არსე-  
ბით და დარბაისელი სულით წააგავს ზღვის პირელს,  
ე. ი. მეგრელს და გურულსო. აი, ამ ტიპებზე ააგო შო-  
თამ თავის ღიდებული პოემა, ღრმა ფილოსოფიის და  
პოეზიის ბრძმედში გაატარა ქართული ეროვნული სუ-  
ლიო.\* ) მაგრამ უმჯობესია ვასაუბროთ თვით ავტორი;  
აი რას ბძანებს თითონ აკაკი:— „ავიღოთ უკვდავი პოემა  
„ვეფხის ტყაოსანი“, გავარჩიოთ და იქ ვნახავთ ჩვენს ქვე-  
ყანას მისი კუთხეებით და მცხოვრებლებით ისე გამოხა-  
ტულს, როგორც სარკეში ჩასახულ რამეს.“— „შოთას  
სურდა დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამო-  
ეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე  
დედაკაცისაც, და რაღაც საქართველოს კუთხეთა ხალხი  
სხვა-და-სხვა ხასიათის მექონია, ამიტომ მან ერთი გმირის  
მაგიერ აიღო სამი, გადააკავშირა ერთმანეთს, შეავსო  
ერთი მეორით და წარმოგვიდგინა ჩვენ. ამ აზრით იმან  
აიყვანა ამერეთიდან ტარიელი, იმერეთიდან ავთანდილი  
და შავი ზღვის პირიდან ფრიდონ და მათი შეერთებით  
დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველო-  
ისა.“— ქართლელი პირდაპირია და მოუფიქრებელი, მას  
გული ჭარბობს. იმერელი ცბიერია და წინდახედული; ის  
თავს ეკითხება; ზღვის პირელი იგივეა, რაც იმერელი,

\* ამის მშვაესი აზრი აქვს გამოთქმული გაკვრით მარი ბრო-  
სესაც.

ხოლო უფრო წვრილმანიო. — „ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით, ავთანდილი კი თავს ეკითხება. ამ რიგად ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი, ავთანდილში — იმერლების და ფრიდონში — შავიზღვის პირელების. „რაც ვთქვით კაცების შესახებ, იგივე ითქმის ქალებზე-დაც. ნეატანი ამერია და თინათინი იმერი, ერთში იხატება ამერეთის და მეორეში იმერეთის ხასიათები.“\*)

დროებით დავეთანხმოთ ავტორს და გავყვეთ. ყოველი ერის სულიერი ფიზიონომია, მისი არსხედვა, ტემპერამენტი, ზნეჩვეულება, გემო და მისწრაფებანი ემორჩილებიან მრავალ ფაქტორებს, იცვლებიან არამც თუ ათასი წლობით და საუკუნეობით, არამედ ხან-და-ხან ათი წლობითაც კი. ამიტომ ქართველ ტომთა და თემთა სულის დღევანდელი სახე და მაშინდელი უსათუოთ დიდათ განსხვავებული უნდა იყოს ერთმანეთიდან. მასთან ჩვენ ხელთ გვაქვს ფრიად მცირე მასალა, რომ სრულად შეგვეძლოს მეთორმეტე საუკუნის ქართველის. დახასიათება. ვიტყვით დაახლოვებით, რომ მაშინდელი ქართველის სულის თვისებას და მისწრაფებას უმთავრესათ შეადგენდენ: მხნეობა, ვაჟკაცობა, ომიანობა, სარწმუნოებრივი ექსტაზი, ღვთის კრძალვა-სათნოება, რაინდული ყოფა-ქცევა, ოჯახის და მამულის დაცვა მტერთაგან, სამშობლოს სიყვარული, ციხე-ქალაქის და ეკლესია-მონასტრის შენება, მეოჯახობა, არხების გაყვანა და სხ. მაშინ საქართველოს ყოველი კუთხე დიდი ხნის შეერთებული იყო. საქართველო წარმოადგენდა ერთ დიდ მონარქიას. ზნე-ჩვეულების და ხასიათის სხვა-და-სხვაობა თემთა შორის ისე სამჩნევათ სრულებითაც არ იქნებოდა მაშინ, როგორც დღესაა, ვინაიდან მეთოთხმეტე საუკუნიდან იწყება საქართველოს.

\*) „საში ლექ კია ვეფხის ტყაოსანზე.“ „კრებული“ 1893 წ. № V და VI.

დაყოფა, რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროების დაარსება, რომელიც 4—5 საუკუნის განმავლობაში უმორჩილებოდენ ისტორიის სხვა-და-სხვა ფაქტორებს, რამაც სამჩნევათ შესცვალა მათი ზნე-ხასიათი და დააჩნია თავის ტვიფარი. ზემო ჩამოთვლილ თვისებებს კი, გარდა რაინდულ ელფერისა, ჩვენ ვერ ვმზერთ შოთას პოემაში, რომლის უმთავრეს კილოს შეადგენს სიყვარული და მიჯნურობა; ეს კი სრულებითაც არ ახასიათებს ძველ ქართველებს.

მაშ „ვეფხის ტყაოსნის“ სიუჟეტი ყოფილა სულ სხვა რამ. მასთან შოთა საიდან დავიხიატავდა ტიპათ ნესტან-დარვჯანს, როცა იგი თვით თამარია?! აგრეთვე მეცნიერებაში უკვე ცნობილია, რომ ყოველივე მოვლენა ბუნებრივი თუ საზოგადოებრივი ემორჩილება ევოლიუციის მტკიცე კანონებს. საუკუნეთა ვითარებაში ხდება ქვეყნათ ამ მოვლენათა სასტიკი ინტეგრაცია და დიფერენციაცია, ე. ი. შეერთება და დაყოფა. ამას ვერ ასცდენია ვერც ერთი აგენტი, ბენებაა იგი თუ აღამიანი, ფიზიური მოვლენაა იგი, ფსიქიური თუ სოციალური.

ამ რიგათ პოეზიამაც ანუ უკეთ ბელეტრისტიკამ გაიარა თავის ევოლიუციური ფაზები და ჩამოისხა აურაცხელ ფორმებში. ჯერ გაიარა მან მითიური ციკლი (ეპოქა თეოლოგიური და გმირული, ე. ი. ღმერთთა, ზე-კაცთა და ბუმბერაზთა ხანა), შემდეგ ისტორიული ფაზა, (ეპოქა მეფეთა, დიდებულთა და რაინდთა), ბოლოს კი სოციალური (ე. ი. ეპოქა და ტიპები ზოგად კაცობრიული, ეროვნული და დასური). ეს უკანასკნელი ხანა იწყება 16—17-ტე საუკუნეში, (თუ არ მივიღებთ სახეში, ძველ რომელსა და ათინას), ისიც მხოლოდ ევროპაში, რომელიც განვითარდა სამჩნევათ და მისმა ისტორიამ მიიღო საზოგადოებრივი ელფერი იტალიის რენსანსით და გერ-

შანის რეფორმაციით გამოწვეული. — ხელოვნება, პოეზია და საერთო ყოველი დარგი ლიტერატურისა არის კაცის. ან ერის სულის და ცხოვრების სარეკე და გამოშახველი. — „გმირული საბერძნეთი ქმნიდა გმირთა ეპოპეას, მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთი კი ქმნის რომანებს“, ამბობს გიუიო. ამ რიგათ მეთორმეტე საუკუნის რაინდულ საქართველოს შეეძლო შეექმნა მხოლოდ ქებათება და პოემები მეფე-რაინდებზე, ტიპების დახატვა კი შედეგია სოციალური განვითარებისა. დავით-თამარის დროის ფეოდალურ-მონარქიული და სხოლისტიურ-თეოლოგიური ხანა, ეჭვი არაა, ვერ მისცემდა მასალას თუნდ ღიღებულ გენისსაც, როგორც იყო შოთა, დაეხატა ტიპები, თუმცა, როგორც სხანს, ეს ღიღდი პოეტი გათავისუფლებულა სალიტერატურო რუტინისაგან, დასდგომია სულ ახალ ორიგინალურ გზას, შეუქმნია ახალი ფორმა და გაყავს თავის პოემაში ჰუმანიტალური აზრები. ამ რიგად შოთამ ორი საუკუნით დაასწრო დანტეს, პეტრარკას და ბოკაჩიოს; ამიტომ თაშმათ შეგვიძლია ვუწოდოთ ქართველ პოეტს უუპირველესი ჭუშანისტი. — როგორც შოთა, თითქმის იმგვარსავე პირობაში იყვენ ელინ-სპარსთა მწერლებიც, ამიტომ ვერც ჰომირი და ვერც ფირდუსი ვერ შექმნიდენ ტიპებს; ამათ უნდა ეხატათ მხოლოდ ისტორიული, მითური ან ფანტასტიური პირები. ესპანის მეთექვსმეტე საუკუნის მწერალს სერვანტესს კი შეეძლო იგი, ე. ი. ტიპების შექმნა, თუმც სერვანტესი ნიჭით დაგენით დაბლა დგას, ვინემ ჰომირი, შოთა და ფირდუსი.

ჩვენი ცხოვრება და მწერლობა მეცხრამეტე საუკუნემდი არას დროს არ გასცილებია ისტორიულ ციკლს, ე. ი. მეფე-რაინდთა ხანას. ამიტომ ვერც შოთა და ვერც სხვა ვერ იზამდენ უმაგალითო ნახტომს და ერთბაშათ ვერ დაგვიხატავდენ ტიპებს. ამიტომ არ შეგვიძლია და-

ვეთანხმოთ პატივცემულ აკაკის და მივიღოთ მისი ორი-  
გინალური აზრი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ.

VI.

ამავე მიზეზით არ შეგვიძლია დავეთანხმოთ არც იღია-  
შავჭავაძეს, რომელიც ეკამათება აკაკის და ბძანებს, რომ  
შოთამ თავის პოემაში დაგვიხატა ზოგად კაცობრიობის-  
ტიპები და არა ერის ან თემისაო; ეს დამცირებაა თვით-  
პოეტის შემოქმედებითი ნიჭისაო.—„ტარიელი, ავთანდი-  
ლი, ფრიდონი და სხვანი კაცად კაცნი არიან, ზოგად-  
ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულ-  
ნი... ამაშია მთელი სიღიადე რუსთველის გენიოსობი-  
საო“.\*)

ფრიად სასურველია ღირსეულათ დავაფასოთ და შე-  
ვაქოთ რომელიმე მწერალი და განსაკუთრებით ჩვენი  
ეროვნული დიდება შოთა, მაგრამ მით არ უნდა და-  
ვგმოთ კეშმარიტება. ვიმეორებ, არც საქართველო, არც  
მთელი აზია და ევროპა არ იდგენ იმ დროს იმ გვარ გა-  
ნვითარებაზე და ისტორიულ წერტილზე, რომ მათ დი-  
დებულ მწერალთ შესძლებოდეთ ან საერო, ან მით უმე-  
ტეს მსოფლიო ტიპების შექმნა, როგორც შემდეგში ეს  
შესძლეს სერვანტესმა, შექსპირმა, გიოტემ, ბაირონმა  
და სხვა.

მართალია, ჰომირის, ფირდუსის და შოთას მიერ და-  
სახული გმირთა სულსა და ხასიათში ჩვენ ვშეერთ რო-  
გორც ეროვნულს, ისე ზოგად კაცობრიულ თვისებებსაც,  
მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ ამ პოეტებს სახეში ქო-  
ნდეთ საერო ან მსოფლიო ტიპების გამოხატვა. ეს მო-

\*.) იხ. გაზ. „ივერია“ 1887 წ. №№ 75—77.

ვლენა ამტკიცებს მხოლოდ მას, რომ ყოველი ადამიანი, ინდივიდი, ან გვარის, თემის, ერის და კლასის წარმომადგენელი და ტიპი უწინარეს ყოველისა კაცია და გავს ზოგად ადამიანს, თუმცა იმავე დროს აქვს თავის განსაკუთრებით ინდივიდუალური ფიზიონომია. ამიტომ ყოველი ტიპის ან ყოველი ინდივიდის სიმართლით დახატულ სურათში უნებლივთ ვმჩერთ ეროვნულს და ზოგად კაცობრიულ ხაზებს, მით უშეტეს, როცა მათ ხატავს ვენიოსის მაღლიანი კალამი.

ამისათვის სრულიადაც არ გვიკვირს, თუ ილია ჭავჭავაძემ ავთანდულ-ტარიელში და ნესტან-თინათინში პოვა ზოგადი კაცის თვისებანი, აკაკიმ კი ეროვნული; ხოლო ვწუხვართ, რომ ამ პატივცემულ ავტორთ იმავე დროს ვერ შეუმჩნევიათ ის, რაც უფრო ნათლათაა დახატული, ესე იგი იშ პირთა ინდივიდუალური სახე და ისტიციული სიმართლე.

ჩვენ კიდევ უფრო შემცდარათ მიგვაჩნია ცნობილ არმენისტის ბ. ნ. მარის აზრი „ვეფხის ტყაოსანზე.“ მას უსარგებლია შოთას ტაეპით, რომელიც გულისხმობს:

„ესე აშბაგი სპარსული  
ქართულად ნათარგმანები,  
გვოგე და ლექსად გარდავქენ,  
საქმე გქენ საჭიჭმანები.“

და გამოყავს ის პრიორული აზრი, თითქო ეს დიდებული ნაწარმოები ქართული გენიისა იყოს უბრალო თარგმანი სპარსულიდან. მასთან ბ. მარი გაიძახის რიხით, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ დედანი სპარსულ ენაზე შაჰრიარ-ნამეს სახელით ბრიტანიის მუზეუმში უნდა იყოსო. „რამდენათ შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან

შეამოკლა, ამაზე სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ არ ვკარგავ. სპარსულ დედანში თვით ტარიელის და ნესტანდარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კიო. “\*).

თუმც ეს თავაზიანი პროფესორი დაგვპირდა, რომ აღმოვაჩენ თვით დედანსაო, მაგრამ გავიდა აგერ 23 წელი მას აქეთ და არამც თუ აღმოაჩინა იგი, არამედ სახელიც კი ვერ გვითხრა თუ რომელი ავტორის ნაწარმოებია. ადვილი მისახვედრია, რომ ეს გახლავთ მხოლოდ ბ. მარის ოცნების ნაყოფი. არაეთავარი დედანი „ვეფუზის-ტყაოსნისა“ არ ასებობს სპარსულ ენაზე, ვინაიდან კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოს მეფე ვახტანგ მე-VI-ს, სპარსული ენის მშვენივრათ მცოდნეს, ბევრი უძებნია. სპარსეთში „ვეფუზის-ტყაოსნის“ დედანი, (ესეც იმ ტაეპს შეუყვანია შეცდომაში), მაგრამ ვერ უპოვია. „მთლათ გადვიკითხე, რაც კი რამ იყო სპარსულათ დაწერილი, ამ ამბავს კი ვერსად შევხვდიო“, ბძანებს მეფე. მართლაც, თუ რამე მზგავსი ყოფილიყო, ვახტანგი უსათუოთ მოძებნიდა მას.

თუ თარგმანი ან გაღმოკეთებული ყოფილიყო „ვეფუზის ტყაოსანი“ აღმოსავლეთის რომელიმე პოემიდან, მისი დედანი აქმდე უსათუოთ აღმოჩნდებოდა, ვინაიდან დიდებული ნაწარმოები იკარგება ფრიად იშვიათათ, თითქმის სულ არა. მასთან „ვეფუზის ტყაოსანი“, როგორც სხვა ერის სულის ნაყოფი ისე ღრმათ არას დროს არ ჩაწვდებოდა ქართველი ერის გულსა და სულს და არ დაამჩნევდა ასე ღრმა კვალს. დიდებული პოემები: ფირდუსის, „შაჰნამე“, და ანვაირ სოილის „ქილილა და დამანა“ ორჯერ უთარგმნიათ ძველათ ქართულათ, მაგრამ მათ არ

\*.) იხ. უურ. თეატრი“ 1890 წ. № 12.

ქონია მესაედი მნიშვნელობა მისი, რაც ქონდა „ვეფხის ტყაოსანს.“ მიზეზი აშკარაა: ესენი ნათარგმნია და სხვა ხალხთა გენის ნაწარმოები, „ვეფხის ტყაოსანი“ კი არის ის ობოლი მარგალიტი, რომელიც შექმნა შოთას გენის სარდაფმა თვით ქართველი სულის ლტოლვათა ზღვაში. ბ. მარს თავისი აზრი ოდნავ შეუცვლია ამ ბოლო დროს; აი, რას ბძანებს იგი თავის ერთ შრომაში: „თავის ლექსების მხოლოდ მუსიკალური მომხიბლაობის ძალით შოთამ შესძლო მიეცა ეროვნული ქართული სახე ნათარგმნ სპარსულ მოთხრობისათვის და გაეხადა იგი ხალხის კუთვნილებათ.“ შემდეგ განაგრძობს: „როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ, თუ ამ რომანტიულ პოემაში სურტ პოონ თამარის ქება-დიდება ანუ მეთორმეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრების სრული სურათი, ეს შესაძლოა მხოლოდ მისტიკური ასსით, რომელიც დამყარებულია ისტორია-ლიტერატურულ ფაქტების სრულ უარყოფაზე და ხელოვნურათ აღვზნებულ პატრიოტიზმზე.“ აი რას ბძანებს კიდევ იგივე პროფესორი: — „ადვილათ შესაძლოა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ გულ დასმით შესწავლამ დაგვანახოს ამ სპარსულ რომანის გალექსილ თარგმანში ქართულ-ავტორის ნაცნობ ტიპთა და მოვლენათა შეგნებული გამოხატვა თანამედროვეთათვის გასაგებ პოეტურ კილოკავებით. ამ კილოკაურ პოეზიას რამდენობით ვგრძნობთ ახლაც“ და სხ.\*)

აი რა გვარ ძალდატანებით და „შეცნიერულ“ მეთოდით სურს ბ. მარს თავისი აზრის დამტკიცება, რომ თითქმ შოთას დიდებული პოემა გინდა თუ არა თარგმანიაო! ერთი შევეკითხოთ მას: ნეტა რა უყო ამ პოემის

\*) Н. Марръ: „Тексты и разысканія по Армяно-Грузинской филологияи“ Т. IV. 1902 №. 83. 51—56.

სპარსული დედანი, ისე რიხით რომ დაგპირდა ამ 23 წლის წინათ! ნუ თუ აქამდე ვერ იპოვა იგი?! თითქო ბრიტანის მუზეუმშიაო... .

დაბოლოს ბ. მარს იქვე მოყავს „ვეფხის ტყაოსნის“ მე 1590-ე ლექსის რუსული თარგმანი, რომელიც არაფრით არ წააგავს დედანს, და მოწმობს, რომ ბ. მარს ან ვერ გაუგია ის ლექსი ან განგებ დაუმახინჯებია ეს თარგმანი. აი მაგალითიც: შოთა ბძანებს, რომ ესე ამბავი გავლექსეო „ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად“-ო. ამას კი ბ. მარი თარგმნის ასე: „Кто (т. е. Давидъ) скигаетъ вѣроломныхъ и укрѣпляетъ преданныхъ.“(?!)\*

მარისებური აზრი წარმოთქვა ამ 22 წლის წინათ ნ. დ—მა! მაგრამ ეს იყო უფრო გულწრფელი და თამამად აღიარა, რომ რუსთველმა თავის პოემის სიუჟეტი და დედა აზრი ისესხა ნიზამის მოთხრობიდან, რომლის სახელია „მიჯნური და ლეილაო.“\*\*) ამით ავტორმა დაამტკიცა, რომ იგი მეტათ სუსტათ გაცნობია. როგორც ნიზამის მოემას, ისე „ვეფხის ტყაოსანს.“

## VII

განვიხილოთ მოკლეთ კიდევ სხვა ავტორების აზრი „ვეფხის ტყაოსანზე“ და მივცეთ მათ საერთო პასუხი.

1. ჩრთვ. დ. ჩუბინაშვილი ამბობს, რომ „ეს პოემა შექმნილია თვით რუსთველის მიერ და მისი მიზანი არის დიდება თამარ მეფისა. ისტორია ტარიელისა არ არსებობს არც ინდოეთში და არც სპარსეთში. თუმც „ვეფხის ტყაო-

\* ) იხ „Тексты и розыскания“... გვ. 56.

\*\*) იხ. უზრ. „Съверный Вѣстникъ“ 1889 №. №№ 9 და 10.

სანი“ აღმოსავლეთიდან არ არის გადმოლებული, მაგრამ აღმოსავლეთის ნიმუშების მიხედვით კი არის შედგენილი.“\*)

2. შარი ბრჟე: „ნათლათ სჩანს, რომ თვით შოთას შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხრობისათა, აზრი ესე გამოცხადების იმ მუხლებით, სადაც ამ ბობს: „თამარს ვაქებდეთ... მიბრძნეს ქება...“ და სხვა. რუსთველის გმირების ზნეობა, ყრფა-ჭკევა, - გულოვნობა, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველ გულს, ზნეობას, ერთი სიტყვით სრულს მათ ხასიათს გამოგვიხატენ.\*\*)“

3. დიმ. ბაქრაძე: „რაიცა შეეხება „ვეფხის ტყაოსანს“ ჩვენი ფიქრით, იმის დედა აზრს ავტორი აფუძნებს თავის დროის საქართველოს ისტორიაზე. ამასთანავე დიდ მგზავ-სებას გვიჩვენებს შედარებით ენის, ფორმისა და ხასიათისა „ვეფხის ტყაოსანში“ და თამარის ბიოგრაფიაში“. შემდეგ ისტორიკოსი ადარებს ერთმანეთს ინდოეთის შვიდ სამეფოს და საქართველოს შვიდ საერისთაოთ დანაწილებულს, ფარსადანის ერთად ერთ ქალს ნესტანს, რომელსაც ზრდის მამიდა დავარ და გიორგის ერთად-ერთ ქალს თამარს, რომელსაც ზრდის მამიდა რუსულან და პოებს ამათში დიდ მზგავსებას. აგრეთვე ტარიელ და დავით სოსლანი დ. ბაქრაძეს ერთი და იგივე პირი გონია. „დასასრულ, — ამბობს ჩვენი ისტორიკოსი, თუ — „ვეფხის ტყაოსანს“ საფუძვლიანათ გავარკვევთ, მაშინ, ეჭვი არა გვაქვს, ბევრს სხვა დასამტკიცებელ საბუთს მოგვცემს იმისას, რომ

\*) ლ. ჩუბინაშვილი: „О грузинской поэмѣ „Венхис ткаосани“.

\*\*) იხ მ. ბროსეს მიერ გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი.“

ავტორს აზრათ აქვს საქართველოს პოლიტიკური წყობილება და ყოფა-ცხოვრებაო“\*).

4. გულაქი: იმავე აზრს იმეორებს, რასაც ბაქრაძე და ჩუბინიშვილი. მისი აზრით, თინათინ თამარია და როსტევან—გიორგი III, არაბეთი კი იგივე საქართველო თავის უსიერი ტყით, ფრიალო კლდეებით, მჩქეფარე მდინარეებით, ირმის და შველის ჯოგით\*\*).

5. ად. ხეხანაშვილის აზრით; ხალხში ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დარჩენილი ლექსები ავთანდილზე, ტარიელზე და სხვ. შოთას მიერ გარდაჭმნილი ლიტერატურულ პოემათ.—„პოეტს შეუტანია კაცის ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა,—ამბობს პატივცემული პროფესორი,—თავიდან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და მით შეუერთებია საერთო ლექსების ნაწყვეტები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიური მოსაზრებით, მეტყველის ენით და პოეტურის აღმაფრენით. შოთა დამღერის საერთო ჰანგს, ნაციონალურ ხმას, თავის ნიჭით ამბობს ხალხში დარჩენილ ამბავს და ერსაც იმიტომ მოსწონს და უყვარს შოთა, რომ ამ პოეტმა თვით ხალხის გულიდან ამოიღო შინაარსი თავის პოემისაო“\*\*\*).

6. გაუაღშაფელა საფუძვლიანათ ეწინააღმდეგება ალ. ხახანაშვილის აზრს და ამბობს, რომ მზგავსება შოთას პოემასა და ხალხურ „ტარიელის ამბის“ შორის საკმაო არ არის, რომ ვთქვათ პირველი შეღვენილ იქნა უკა-

\*) ვახუშტი: „საქართველოს ისტორია“ გვ. 218, შენიშვნა დიმ. ბაქრაძისა.

\*\*) Гулакъ: „О Барсовой кожѣ Руставели“.

\*\*\*) А. Хахановъ: Груз. поэтъ XII в. III. Руставели и его поэма „Барсова кожа“, და გა. „ივერია“ 1890 № 15.

ნასკნელის შემწეობითაო. ხალხი ხშირათ ცვლის და ას-  
ხაფერებს სალიტერატურო ნაწარმოებს. ავტორს მოყავს  
მაგალითი თუ როგორ იცვლება ხევის ბერის პირში სახა-  
რების სიტყვები. ვაუა-ფშაველას სწამს, რომ „ვეფხის  
ტყაოსანი“ თვით შოთას ნაწარმოებია და ამ ქმნილებაში  
გამოხატულია პოეტის თანამედროვე ეპოქა, ოქროს საუ-  
კუნე, „რომელიც იალბუზივით ქედ მოღერებული სდგას  
მთელს საქართველოს ისტორიაში“-ო\*).

7. ბლ. იოსებიანი, ალ. ნანე ჯანაშვილი და მოსე ჯანაშვილი და რუსთველის პოემას ხადიან ეროვნულ ნაწარმოებათ  
და მასში მზერენ საქართველოს ზე-ჩვეულებას, პოლიტი-  
კურ წყობილებას და ეროვნულ ელემენტის უცხო ელე-  
მენტთან ბრძოლას. ამ მხრივ ამათი აზრი ძლიერ წააგავს  
დ. ბაქრაძის გამოკვლევას. მოსე ჯანაშვილს გაყავს პარა-  
ლელი ვეფხის ტყაოსანსა და ქართლის ცხოვრებას შო-  
რის და ამბობს, რომ ნესტან-დარეჯან თამარია და ფარ-  
სადან მისი მამა გიორგი III, ტარიელ დავით სოსლანია,  
თამარის მეორე ქმარი, ხვარაზმაჲ კი გიორგი რუსიაო,  
—თამარის პირველი ქმარი; ავთანდილ ამირ-სპარსალარი  
გამრეკელიაო და სხ. თამარს თავის სურვილის წინააღმ-  
დეგ მოგვრიან საქმროდ გიორგი რუსს, რუსეთის მეფის  
ანდრია ბოგოლიობსკის შვილს. თითქმის ქორწინების  
მეორე დღესვე მას გაგზავნიან ჯარით ყარსს საომრათ.  
თამარს და მის მომხრეთ არ სურთ ეს უცხო ელემენტი  
გიორგი რუსი, ვიღაც „ბარბაროზი, სკვითი და ხაკანი“  
და განდევნიან მას საქართველოდან. გიორგი რუსი ბრუნ-  
დება ბერძნის ჯარით, საქართველო დელავს, იყოფა ორ  
დასათ, ხდება ომი და შეტაკება, თამარ და დავით სოს-  
ლანი ორჯერ საბოლოოთ ამარცხებენ გიორგი რუსს და  
შემდეგ ქორწინდებიან. „ასტე იმარჯვებს ნაციონალური

\*.) იხ. გაზ. „ივერია“ 1890 წ. № 39.

შიმართულება თამარის ცხოვრების მოთხრობითაც და „ვეფხის-ტყაოსნითაც“.. „ეგე ამბათ არ ეგების, რომე სპარსი გაგვიხასღენო“, აռ, ჩვენის აზრით, „ვეფხის-ტყაოსნის“ დედა-აზრი, — ბძანებს პატივცემული ისტორიკი, — რომელიც დღე ხელოვნურათ მოუქარგავს უკვდავ მამული-შვილს და იგავურათ მიტომ გამოუთქვამს ეს აზრი და ინდოეთსა და არაბეთს იმიტომ გადუტანია ეს ამბავი, რომ ნამდვილი სახელების აღნიშვნით, ა) არ გამოაშკარავებულიყო ყრმობიდანვე გაჭრით გამიჯნურება ორთავე მნათობთა, რომელთათვის ესრეთი გამოაშკარავება საჩითი-როცა და საწყენიც იქნებოდა; (ნეტა ვიცოდეთ რისთვის?!), და ბ) არ შეურაცხყოფილიყო პიროვნება იმ კაცებისა, რომელთაც დავით სოსლანის გამეფება არა სწად-დათ და რომელთაც „ქვე უძთ ბუნება კეკლუცთა ზედან ფრენითა“ \*) (?).

მეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ ბ. მურავიოვის აზრიც..

8. შურავითვი: „შოთა რომ წერდა ვეფხის ტყაოსანს, აღტაცებული იყო ამ მიუწდომელი მფლობელის, (ე. ი. თამარის) სიყვარულით. მისი საასპარეზო შოთამ გადიტანა არაბეთს, რადგან ვერ გაბედა პირდაპირ დაესახელებინა ეს მეფე-კაცნი და ისინი დაგვიხატა მოგონილ სამეფოს მოგონილ მფლობელების სახით. ძლიერი მეფე გიორგი კი, თამარის მამა, დახატა დიდებულ მეფე როსტევანათ. „ვეფხის ტყაოსანი“ შექმნილია საქართველოს მხურვალე ცის ზეგავლენა-შთაგონებით და რუსთველის გულის სიყვარულით. მე თვითონ ვიხილე ის ადგილები, სადაც შოთას აუკვნესებია თავისი ქნარი, ის ადგილები და პალატ-

\*) იხ გაზ. „Кавказъ“, 1884 წ. № 248, „ივერია“, 1890 წ. № 14 და მ. ჯანაშვილი: „შოთა რუსთაველი“ 1896 წ. 83. 68—93.

ნი დიდებულ დედოფლისა, სადაც თ. ნ. დადიანი მიკითხავდა შოთას პოემას, რომელის ზოგიერთი სახენი თვალწინ წარმომიდგენ მეორე დღეს დ. ხონში საერო დღესასწაულზე“ \*).

### VIII.

ზერე მოყვანილი აზრი „ვეფხის ტყაოსანზე“ იყოფა სამ ჯგუფათ:

1. პირველი აზრი ეკუთვნის დ. ჩუბინაშვილს, მ. ბროსეს, ვაჟა-ფშაველას და რაოდენობით მურავიოვს. ეს ავტორები ბძანებენ, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ეროვნული პოემაა და იგი დასწერა შოთამ თამარ მეფის და მისი დროის სადიდებლათაო.

2. მეორე აზრი აღ. ხახანაშვილისა.. იგი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ თითქმ შოთამ შეკრიბა ხალხში გავრცელებული ლექსები და თქმულებანი ტარიელ-ავთან-დილზე და მით შექმნა ეს უკვდავი პოემა.

3. მესამე აზრი კი წარმოსთქვეს პირველათ პლ. იოსელიანმა და დიმ. ბაჭრაძემ; გაიმეორეს იგი გულაკმა, ნანე-შვილმა და ჯანაშვილმა. ამ უკანასკნელმა შეავსო ეს აზრი. ამ ავტორების გამოკვლევით შოთას პოემის დედა-აზრი არის დაფუძნებული იმ დროის საქართველოს ისტორიაზე. ესენი პოებენ დიდ მზგავსებას. რუსთველის გმირებსა და გიორგი III-ის ოჯახ შორის და მზერენ თვით პოემაში საქართველოს პოლიტიკურ წყობილებას, ცხოვრებას და ნაციონალურ ბრძოლას. ამათი აზრით, ტარიელ და დავით სოსლანი ერთი და იგივე პირია.

\*) Муравьевъ: „Грузія и Арменія“ 1848 №. ბვერ. 216—235.

ჩვენ ვერ შევიწყნარებთ პირველსა და მეორე აზრს. რომათ რომ ჩაუკვირდეთ და გავარკვიოთ, ვცნობთ, რომ პოემაში არ ჩანს არც თამარის და მისი დროის დიდება და არც, მით უმეტეს, ხალხური ლეგენდები და თქმულებანი. პოემაში ვერსად ვმზერთ ჩვენ თამარს ბრწყინვალე მეფეს, იალბუზივით ამაღლებულს, საქართველოს შთარველს, კავკასიის ღვთაებას და მუსლიმის. რისხვას; ჩვენ ვერ ვმზერთ აქ მის დიდებულ სარდლებს და უძლეველ მხედრობას, ვერ ვზერთ მის ზენაარ მგოსანთ და განათლებულ ერს. ერთი სიტყვით, პოემაში არ ჩანს თამარ თავის მეფური შარავანდედით. მართალია, თამარი არის გამოყვანილი „ვეფხის ტყაოსანში“, მაგრამ მას აქვს სულ სხვა როლი. თუ თამარი თინათინია; მას აკურთხებენ მეფეთ, იძლევა უხვათ წყალობას, გზავნის თავის მიჯნურს ავთანდილს ტარიელის საძებრათ, ფიცავს შენს მეტ კაცს არ წავყვე ცოლათო და ბოლოს მითხოვდება კიდეც. აი რით იფარგლება თამარის როლი. იგი მეტათ ვიწრო და უფერულია.

თუ თამარ ნესტანია, მით უმეტეს, აქ ხომ სულ ვერ ვმზერთ თამარს, როგორც დიდებულ მეფეს. აქ ჩვენ წინ მხოლოდ სიყვარულით შეპყრობილი მშვენიერი ქალია, მეფის ასული, მას გაუგებენ ფარულ გრძნობას, სცემენ სასტიკათ, მისცემენ ზანგებს და გადაკარგვენ. შემდეგ მას დაიჭერენ ქაჯები და დაატყვევებენ ციხეში. ეს ნაზი, ციური არსება იტანჯება იქ და სტირის სამოთხ წელს, შოსთქვაში თავის დასჯილ სიყვარულს და დაკარგულ შიჯნურს. ბოლოს გაუღიმებს ბედი, ცნობს მის ამბავს. შისი ტარიელი მეგობრების შემწეობით, მოვლენ გმირები, აიკლებენ ციხეს და განათავისუფლებენ მშვენიერ ნესტანს. აი შოთელი მოთხრობა! ნეტა საღ ჩანს აქ თამარ შეფის სიღაძე და მისი ბრწყინვალე ეპოქა?!

მით უმეტეს ეს პოემა არ არის არც ხალხური ლეგენდა, არც სიმბოლო და ალეგორია, რაღან წინასიტყვაობაში ნათლათ ჩანს, რომ თამარის ბძანებით ანუ ნებართვით არის დაწერილი ეს პოემა და მის გმირებსაც მეტათ ახლო კავშირი აქვთ იმ დროის ისტორიულ პირებთან.

შედარებით ბევრათ უფრო საფუძვლიანია და სერიოზულათ გამორკვეული მესამე აზრი. ჩანს, ამ აზრის მთქმელნი შესაფერათ ჩაკვირვებიან როგორც პოემის შინაარსს, აგრეთვე გიორგი-თამარის ეპოქას. ხოლო მათ ვერ უპოვიათ პოემის მთავარი ღერძი, ვერ უცვნიათ თუ ვინაა მისი უუმთავრესი გმირი ტარიელ და დაბნეულანი, იმ უმთავრეს შეცდომიდან გამომდინარებს შემდეგ შათი ლოგიკური შეცდომანი, აზრების დახლართვა და ბუნდოვანობა.

მართალია შოთას პოემაში ჩანს საქართველოს პოლიტიკური წყობილება, არის დიდი მზგავსება გიორგი III-ის ოჯახსა და პოემის გმირებ შოთას; მაგრამ ამავე დროს პოემაში ხდება აჯანყება და დინასტიური ბრძოლაც. ვინ ასტეხა ეს ბრძოლა? პატივცემულმა ავტორებმა ამაზე ნათლათ ვერაფერი გვითხრეს და დაიბნენ. თუ ტარიელ დავით სოსლანია, მაშ ვიღაა ავთანდილი, რომელიც ირთავს თინათინს, ე. რ. თამარ მეფეს? მ.. ჯანაშვილი ბძანებს, რომ ავთანდილ გამრეკელია; საიდან? აბა, როდის შეირთო მან ცოლათ თამარ მეფე?! მასთან ნუ თუ შვილათ აყვანილი და საქართველოს ტახტის მემკვიდრე დავით სოსლანი იყო; როგორც პოემაში ტარიელია?! ნუ თუ დავით სოსლანმა მოახდინა აჯანყება საქართველოში და მოსთხოვა გიორგი მეფეს ტახტი ისე, როგორც ჩაიდინა ტარიელმა?! რატომ არ ჩაუკვირდენ ამ გარემოებას უფრო ღრმათ ჩვენი პატივცემული ავტორები?!

აგრეთვე თუ ტარიელ დავით სოსლანია, ნეტა რისთვის მოთქვამს რუსთველი ცრემლ შეუშრობლათ თავის საყვარელ გმირს?! ნეტა რა ატირებს პოეტს პოემის დაწყებიდან ბოლომდი?! თუმცა ტარიელი აღწევს მიზანს, მაგრამ შოთა მაინც სულ მუდამ სტირის მას.

გარდა ამისა, თუ ტარიელ დავით სოსლანია, ნეტა რა საჭირო იყო ან ამ პოემის დაწერა, ან თამარის ბძანება და მისი შინაური ცხოვრების გამოაშკარავება?! ან რა რიგ დასწვავდა შოთა ამ პოემის დაწერით დავით-თამარის ორგულთ და დაამაგრებდა მათ ერთგულთ, როგორც იგი ამბობს პოემის ბოლოში?! ან რათ უნდა აეშფოთებია ამ პოემას იმ დროის დიდებულნი და მეტადრე სამღვდელოება?! ან რათ მოსთქვამს პოეტი თამარს „სისხლისა ცრემლ დანთხეული“?! თუ მართლა თამარს უყვარდა დავითი და სურდა ქმრათ, რათ არ მითხოვდა პირველათვე?! ვინ უშლიდა?! რათ მითხოვდა გიორგი რუსს?! თუ კი მეორეთ გათხოვდა დავითზე, თავშივე შეეძლო ჩაედინა ეს საქმე! იმ დროს თამარი იყო მეფე, დედ-მამა არ ყვდა ცოცხალი, ის იყო ქვეყნის ძრანებელი, მასთან მეტათ ბრძენი და გავლენიანი ქალი; ამიტომ ადვილათ შეეძლო მოეყვანა სისრულეში თავის განზრახვა და პირველათვე მითხოვებოდა დავითს. მასთან ძველს მწერლობასა და მატიანებში აჩსად ჩანს, რომ დავით სოსლანს სდომებოდეს თამარის შერთვა და ვისმეს წინააღმდეგობა გაეწიოს!

არა, აქ სხვა ამბავია... არც გარეგნობით, არც ხასიათით და არც ისტორიულ სვე-ბედით დავით სოსლანი არ გავს ტარიელს; პირიქით, ის ძლიერ წააგავს ავთან-დილს და, ჩვენის აზრით, როგორც ქვემოთ დავამტკიცებთ, შოთას დავით სოსლანი ყავს გამოყვანილი ავთან-დილათ, რომელიც ირთავს სამი-ოთხი წლის შემდეგ მეფე-

თინათინს, ე. ი. თამარ მეფეს. მაშ ვინაა ტარიელი? ვინაა ფრიდონ? ერთი და იგივე პირებია ნესტან და თინათინ, როსტევან და ფარსადან თუ სხვა-და-სხვა? რა არის პო-ემის დედა-აზრი? აი, ამ საგანს გვსურს შევწიროთ ეს მცირე შრომა.

## IX.

მაშ რას წარმოადგენს „ვეფხის ტყაოსნის“ დედა-აზრი და სიუჟეტი? საიდანაა აღებული იგი? თარგმანია ეს პოემა თუ თვით-არსი? ყოველივე ამის გასარკვევათ ჩენ გვაქვს სამი წყარო: პირები და ყველაზე უფრო სამნიშვნელო არის თვით ეს დიდებული პოემა, რომლის წინასიტყვაობაში და ბოლოში არის გატარებული ფრიად საგულისხმო აზრები; ეს აზრები კი ნათელს ფენენ პო-ემის დედა-აზრს, სიუჟეტს და გვამხელენ მის საიდუმლო-ებას. მეორე წყაროა დავით ალმაშენებლის და თამარის დროის მატიანე, „ქართლის ცხოვრება“, სტეფანოზ ოჩ-ბელიანის და ვახუშტის ისტორია, აგრეთვე სხვა ისტო-რიული მონოგრაფიები. მესამე კი ზეპირ გადმოცემანი. დავიწყოთ პირებილიდან, ე. ი. განვიხილოთ „ვეფხის ტყა-ოსნი“:

რას გვეუბნება პოემის წინასიტყვაობა? იგი გვამუ-ნევს, რომ პოეტს დაუწერია ეს ნაწარმოები თამარის და დავით სოსლანის ბძანებით, ანუ უკეთ ნებართვით, რომ ამ პოემის სიუჟეტით გამიჯნურებულა ე. ი. აფრთვანე-ბულა თვით ავტორი, რომ უმთავრესი გმირი ქალი პო-ემისა არის თვით თამარი. „მიბრძანეს მათდა საქებრათ თქმა ლექსებისა ტკბილისა“-ო, ამბობს შოთა. პოეტიც აქებს თამარს მოთქმით და საშინელი ცრემლის დენით:

— „თამარს ვაქებდეთ მეფესა  
სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
გსოვნით ქებანი ვისნიმე  
არ აფად გამორჩეული,  
მეფენად ვიხმარე გიშრის ტბა  
და კალმად მინა რხეული,  
ვინცა ისმინდს, დაესვას  
ლახვარი გულსა ხეული“.

ნეტა რად სტირის, რად მოსთქვამს ასე უცნაურათ  
პოეტი თამარს? ნეტა რა სტირდა სატირალი ამ ღიღებულ  
მეფეს, ამ ყველაფრით შემკულ აღამიანს? რად უწუხს ამ  
რიგათ შოთას გული თამარზე? ვითომ სიყვარულია ესა?  
ვითომ თავის მიჯნურობა ატირებს მგოსანს? მაგრამ ამის  
შესახებ კიდეც ვთქვით ზევით: შოთას რომ თამარი ყვა-  
რებოდა, ასე აშეარათ და გაბედვით ვერ დამღერდა თა-  
ვის გრძნობას მეტქი. მასთან ამ ცრემლსა და გოდვას  
პირად სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს  
ცრემლი სულ სხვა ხასიათის ცრემლია.. მაშ რა შეემოხვა  
თამარს ისე უცნაური, რომ ააშფოთა პოეტი?

შოთა აქებს თამარს, მაგრამ რომელ თამარს? ბრწყინ-  
ვალე მეფე თამარს კი არა, რომელმაც განადიდა მთელი-  
საქართველო, ააყვავა ქვეყანა; მოფინა ერს სიმძლავრე,  
განათლება და რომლის წინაშე თრთოდენ სპარსეთის  
შაპი, ბალდადის ხალიჭა და ანატოლიის სულთნები; შო-  
თამ არ დაგვიხატა ის კოლხიდა-იუერიის შშვენიერი ცის-  
კარი, კავკასიის ლვთაება თამარ, რომლის საქებრათ ააკრ-  
თეს ქნარი ჩახრუხამ და შავთელმა; შოთამ არ დაგვიხატა  
არც თამარის გმირი სარდლები, უძლევი მხედრობა და  
ქართველის ლალი სული; არა, პოეტმა დაგვიხატა მხო-  
ლოდ ნესტან-დარეჯან, ესე იგი თამარ ბედ-შეგი, თამარ

ჭენარად შეუვარებული, თამარ ტანჯული და ქაჯეთის, ე. ი. ქბბულების ციხეში დამწევდებული, თამარ გმბბილი და უდანაშაულოთ გაქირდული. აი როგორი თამარის ქება და მისი პიროვნების აღდგენა უბძნეს შოთას!

მაგრამ გარდა თამარისა შოთას სატირალია და სამ-გლოვიარო კიდევ მეორე უმთავრესი გმირი, რომელიც არის თვით სული და გული პოემისა და რომლის სახელს ატარებს ეს უკვდავი ნაწარმოები. ეს გმირია ტარიელი. ამის მწარე ხვედრი კიდევ უფრო უკლავს გულს ჩვენს პოეტს:

მთ დაგისძეთ ტარიელისთვის,  
ცრემილი გვდის შეუშრობებული,  
მისებრი მართ დაბადებით  
ჟინცა უფლისა შობილი,  
დავჯე რესაველმან, გაფლექსე,  
მისთვის გულ-ლახვარ სობილი,  
აქამდის აშპათ ნათქეაში.  
აწ მარგალიტი წყობილი“.

შოთა მოსთქვამს შეუშრობელი ცრემლით თვის საყვარელ გმირს; მისთვის გულ-ლახვარ სობილია იგი, და აპა ლექსანს მას, რაც მომხდარა და ოქმულა მასზე აშპათ. ნეტა ვინაა ეს ტარიელ, ისტორიული პერია იგი. თუ პოეტის ფანტაზია? ნამდვილი სახელია ეს თუ მოგლ-ნილი? ჯერ ეს ჩვენთვის საიდუმლოა. თვით პოემა ამაზე არას გვეუბნება. აქ მხოლოდ ვტყობილობთ, რომ ტარიელი მეფის შვილია და ნათესავი ნესტანისა, ე. ი. თამარის, რომელიც შეუყვარდა მას; ტარიელ ამირბარია, მხნე მეომარი, მშვენიერი თვალ-ტანალი. და რაინდული ყოფა-ქცევის ჭაბუკი, მასთან ნესტანის, ე. ი. თამარის

მამის შეგვარე, შეილობილი და ტახტის შეშევიდრე. ვიცით, რომ ამ ახალგაზრდამ მოკლა ნესტანის საქმრო, აუჯანყდა თავის გამზღველ მეფეს, გამაგრდა ციხეში და მოინდობა გამეფება. შემდეგ მას ვმზერთ დიდხანს ველად გავარდნილს, სადაც იგი ეძებს დაკარგულ სატრფოს, ვმზერთ და თითქმის ვგრძნობთ მის მწარე ცრემლებს და ტანჯვა-მწუხარებას. მაგრამ ღმერთმა არ გასწირა იგი, ამოუჩნდა-ორი თავდადებული მეგობარი; ისინი ტყობილობენ იმის: სატრფოს ბინას, მიდიან ტარიელთან ერთათ ქაჯეთს, იკლებენ ციხეს და ათავისუფლებენ ნესტანს.

ეს თავის გმირი, ეს ტარიელი ყველაზე უფრო შეყვარებია შოთას; იგი არ ზოგავს თავის ზენაარ ჩანგის სიმებს, გრძნობას, მხატვრობას და გენიოსურ ნიჭს, რომ რაც შეიძლება ნათლათ, მწვავეთ და ბნელი ფერადით დაგვისურათოს ამ ველად გავარდნილი მიჯნურის სულის კვეთება და წამებანი. პოეტის გულის სიმები სტირიან ამ უბედურ მიჯნურთან ერთათ და გვატირებენ მკითხველს. აი, ეს ორი შეყვარებული გმირია პოეტის აღმაფრენის მიზეზი და სამიჯნურო საგანი! ამ ორ შეყვარებულს შეტრფის და გოდებს იგი, მათთვის ხელობს და ტირის მწარეთ მგლისანი.

## X.

ნესტან იზრდება თავის მამიდა დავართან ისე, როგორც თამარი მამიდა რუსუდანთან. მისი მამა ფარსადან მეფე შვიდი სამეფოსა, ისე როგორც თამარის მამა გიორგი III; ტარიელ უფროსია ნესტანზე; ისინი ბავშობითვე იზრდებიან ერთად; შემდეგ კი შვიდი წლიდან ნესტანს აძლევენ მამიდა დავარს ასაზრდელათ. ასაკში მოსული ნესტან და ტარიელ ნახვენ ერთმანეთს და წამ-

სვე ტრფიალების ცეცხლი მოედება ორივეს. მათ შეუყვარდებათ ერთმანეთი. აქ პოეტი არ ზოგავს თავს, რომ დაგვიხატოს ამ 'ზენაარი გრძნობის ძალა და სიღიადე. ის აქ იჩენს შეუდარებელ ფსიხოლოგიურ ნიჭს და შემქნელ ძალას. პოეტს სურს დიდებულათ დახატოს თავის გმირები, მათი სიყვარული და მეგობრობა, ამიტომ გალობს იგი:

„აშენ მინდა კაშათქმედ,  
გული და ხელოვანება,  
ძალი მომეც და შეწევნა  
შენგნით მაქვს, მიგცე გონება,  
მით შევეწივნეთ ტარიელს  
ტურფადცა უნდა ხსენება,  
მათ სამთა გმირთა მნათობთა  
სჭირო ერთმანეთის მონება“.

და მართლაც იშვიათი ხელოვნებით ასურათებს იგი თავის გმირებს. მიუხედავათ ამისა, შოთა არ სჯერდება ამ დასურათებას და თავის წინასიტყვაობაში იგი გამოდის დამცველის როლში. აქ იგი ხდება ნესტანის, ე. რ. თამარის და ტარიელის ვექილათ. იგი შიშობს, ვაი თუ ვერ გაიგონ თუ რაა ნამდვილი მიჯნურობა და ღვთაებრივი სიყვარულიო, ვაი თუ ვერ სცნონ ეს დიდი გრძნობა, ვაი თუ ჩირქი მოსცხონ ამ ორ შეყვარებულ გმირს და მონათლონ არა საკადრისი სახელით, ამიტომ წინასიტყვაობაში ახლად მართავს იგი ჩანგს და დამდერის მხნეთ:

— „მიჯნურობა სხვა რაშეა,  
არ სიძვისა დასდარი“ და სხ.

ამის შემდეგ რუსთველი იხსენიებს თამარს, „ვის მორჩილებს ჯარი სპათა“, და ამჟღავნებს თავის დაუძლუ-

რებას ამ მიჯნურთათვის; მაგრამ, თითქო გაახსენდა რა-  
ლაცო, უეცრივ შეჩერდება. პოეტი თითქო შფოთავს და-  
წუხს, არ მიმიხვდენ ამ საიდუმლოსათვის, ამიტომ სცდი-  
ლობს გადააფაროს მას ფარდა და დაუმალოს მკითხველის-  
ცნობის-მოყვარეობას; ამ მიზნით უღერს შოთას ჩანგი:

— „ესე ამბავი სპარსული  
ქართულად ნათარგმანები,  
ვით ჰარგალიტი თბოლი  
სელის-ხელ საგოგმანები,  
გულეუ და ლექსად გარდავთქვი,  
საქმე გმენ საჭიჭმანები“.

აქედან ჩანს, რომ თითქო პოეტს ეს ამბავი ენახოს-  
სპარსულიდან ქართულათ ნათარგმნი და ლექსად გადე-  
ლოს. მაგრამ ეს მხოლოდ მეტათ ჭვირვალე ნილაბია..  
ამით იგი ვერავის შეაცდენდა და მართლაც არც არავინ  
დაუჯერა, როგორც ვცნობთ შემდეგ. მასთან ამ ტა-  
ეპით ჩანს, რომ შოთას ჯერ მთელი პოემა დაუწერია და-  
მერე წინასიტყვაობა. ამას დიდი შინიშვნელობა აქვს. მარ-  
თლაც თუ პოემა უბრალო თარგმანია, მაშინ რალათ იყო-  
საჭირო წინასიტყვაობა, ან რა რიგათ იქნებოდა იგი თა-  
მარისთვის დაწერილი? და თუ ეს პოემა თვითარსია,  
შიგაც ნამდვილი ფაქტია აწერილი, მაშინ წინასიტყვა-  
ობას აქვს თავის არსებობის საბუთი. მთელი პოემის და-  
წინასიტყვაობის სულიდან კი ვამჩნევთ, რომ თამარს გა-  
მეფებამდი შემთხვევია რაღაც საოცარი ამბავი; მას ზენა-  
რათ შეეფარება ვიდაც გამოჩენილი კაცი, თავის ნათესავი;  
ამასთანავე მამა მისის ნაშვილევი და ტახტის მემკვიდრე. ესე-  
ნი დაუშორებიათ ერთმანეთისთვის და თამარი გაუთხვებიათ.  
ჯერ გიორგი რუსზე და შემდეგ დაფით სისლანზე. ამ პირ-

ვეღ სიყვარულს ძლიერ აუშფოთებია ყველანი, ვერ გა-  
უგიათ იგი, შექმნილა მითქმა-მოთქმა, გაუხარებია ორ-  
გულნი და დაუჩაგრია ერთგულნი, თვით თამარ-დავითის-  
თვის კი მოუცხია საშინელი ჩირქი. ამას ჩვენ ვტყობი-  
ლობთ პოემის ბოლო ლექსიდან:

— „ქართველთა ღვთისა დავითის  
ვის ზუე შსახურებს სარებლად,  
ესე ამბავი გავლექსე  
მე შათად საკამათებლად,  
ვინ არის აღმისავლეთით  
დასავლეთი ზართა მარებლად,  
ორგულთა მათთა დამწველად  
ერთგულთა დასამაგრებლად“.  
დავითის ქნარი ვითა გსთქვნე  
სიჩალე, სიხაფეთანი,  
ესე ამბავი უცხონი,  
უცხოთა სელმწიდვეთანი,  
შირველ ზნენი და საქმენი,  
ქებანი მათ მეტეთანი,  
გზოვე და ლექსად გარდაგსთქვენ,  
ამითა ვილაყვეთანი“ \*).

აქედან ჩანს, რომ ამ პოემის დაწერის დროს თამა-  
რი ყოფილა გათხოვილი მეორე ქმარზე, ე. ი. დავითზე,  
რომელიც იყო ბაგრატიონთ გვარის, ოსთა მთავრის შვი-  
ლი და რუსუდანის გაზღილი.

როგორც ზეით ვთქვით, ამ პოემაში მოყვანილ ამ-  
ბავს, ე. ი. ნამდვილ ფაქტს მეტათ უმოქმედნია და აუხ-  
მაურებია ყველანი, ამიტომ შოთას თამარის და დავითის

\*) ხაზ-გასმული ჩვენია.

ავტორი.

ბძანებით ანუ ნებართვით დაუწერია ეს პოემა, იმ მიზნით, რომ დაეხატა ყველასთვის სულ სხვა სურათი, აღეძრა დავით-თამარზე ახალი კამათი და მით დაეწვა მათი ორგულნი და გაემხნევებია ერთგულნი. ამავე დროს შოთა კვლავ მიმართავს თავის პირვანდელ ხრისტ, კვლავ აფარებს სალაფარდას და გაიძახის: თუმც ეს უცხო მეფეების ამბავია, ვპოვე და გავლექსეო, მაგრამ მაინც ამიტყდენ ამაზე და სალაყბოდ გავხდითო. აქედან კიდევ აშკარა: ჩანს, რომ უბრალო თარგმანი და უცხო მეფეთა ამბის გალექსვა, ვგონებ, არავის გააცხარებდა და ააშფოთებდა, აქ რომ სხვა რამე არ ყოფილიყო. მასთან სპარსულიდან თარგმანით პოეტი ვერ დასწვავდა დავით-თამარის ორგულთ და ვერ გაამხნევებდა ერთგულთ. რაც შეეხება შოთას სიყვარულს თამარისადმი, ეს კიდევ უფრო ნაკლებ ჩანს ამ სტრიქონებს შემდევ. თავის პირად სიყვარულის გალობით იგი კიდევ უფრო ნაკლებ დასწვავდა თამარის ორგულთ და ნაკლებ გაახარებდა მის ერთგულთ. რაც შეეხება რუსთველის მიჯნურობას, ანუ უკეთ მის გულის გამიჯნურებას, რასაც იგი იხსენიებს წინასიტყვა-ობაში, ვიტყვით, რომ პოეტს სულ სხვა რიგათ ესმის თავის ტრთობა და მიჯნურობა. ეს მიჯნურობაა მისი მერანი, მისი პოეტური აღმაფრენა და არა ქალის სიყვარული და „კეკლუტთა ზედან ფრენა“. იმ როგორ ახა-მიათებს მგოსანი თავის მიჯნურობას:

— „გთქვა შიჯნურობა პირველი  
და ტომი გვარია ზენათა,  
ძნელად სათქმელი, საჭირო  
გამოსაგები ენათა;  
იგია საქმე საზეთ,  
მომცემი ადმაფრენათა.

— მიჯნურნი შმაგსა გვიქიან  
არაბულითა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა  
ვერ მიხდომისა წუენითა;  
ზოგთა აქეს საღთო სიახლე,  
დაშვრების აღმაფრენითა,  
გვდავ ზოგთა ქვე-უც ბუნება  
პეპლუცთა ზედან ფრენითა“.

## XI.

ახლა ვიკითხოთ, ვინაა ეს ტარიელი? ვინ არიან  
ნესტან, თინათინ, აეთანდილ, ფრიდონ, როსტევან და  
ფარსადან, ეს უმთავრესი გმირნი პოემისა? ვინ არის ეს  
სვიანი მეფე მალალი, უხვი. და ლაშქარ მრავალი ყმიანი  
როსტევან, რომელსაც ერთი ქალის მეტი არავინა ყავს,  
თავის სიცოცხლეშივე ადგამს გვირგვინს და აკურთხებს.  
მეფეთ? ეჭვი არაა, ეს უნდა იყოს გიორგი III თამარის  
მამა, რომელიც ხასიათით მეტათ წააგავს როსტევანს და  
რომელმაც თვით დაადგა გვირგვინი და აკურთხა მეფეთ  
თავის ერთათ ერთი ქალი მშვენიერი თამარი.

ვინაა ნეტა როსტევანის ქალი თინათინ? მან მზესაც  
კი გადააჭარბა სიმშვენიერით. ეჭვი არაა, ეს არის თვით  
თამარი, რომელიც მამის სიცოცხლეშივე ავიდა სამეფო  
ტახტზე.

ვინაა ნეტა ფარსადან შვიდთა სამეფოს მფლობელი,  
მეფე „უხვი, მდიდარი, უკადრი, ტანად ლომი და პირად  
მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“, რომელსაც ერთი  
ქალის მეტი არა ყავს შვილი? ეს გახლავს შვიდი სამე-  
ფოს უფროსი საქართველოს მეფე იგივ გიორგი III, მისი  
ერთათ-ერთი ქალიც თამარია, იგივე ნესტან-დარეჯანი  
„მზგავსი მთვარისა, მზისაგან შვენებით არ შეფრობილი“.

მაშ როსტევან მეფე და ფარსალან ერთი და იგივე პირი ყოფილა, ე. ი. გიორგი შეფე; ნესტან და თინათინ ერთი და იგივე ყოფილან, ე. ი თამარი. რათ დასჭირდა შოთას ამ ორი ორადის გამოყვანა და დასურათება? ეს ჯერ ჩვენთვის საიდუმლოა. ამას უცნობთ ქვემოთ.

ვინაა ავთანდილი, ეს „საროსა მჯობი ნაზარდი, მგზავსი მზისა და მთვარისა“, ეს მეფის კარზე აზრდილი სპასპეტი, რომელსაც როსტევან კანონიერათ მიათხოვებს თავის თინათინს? ეს არის გიორგი მესამის კარზე აზრდილი ოსთა მთავრის შვილი ტანადი და მშვენიერი დაფილ სისლანი, თამარის მეორე ქმარი.

ვინაა ფრიდონ მეფე? ვინაა ნეტა ეს „ედემს ზრდილი“ შავბედიანი ტარიელი, ეს ფარსალანის, ე. ი. გიორგი მეფის შეგზარე და ნათესავი, რომელიც „მზეს ისე ჯაბდა შვენებით, ვით ბინდსა ქამი დილისა“; ვინაა ეს შოთას უუსაყვარელესი გმირი, ეს ნესტანის, ე. ი. თამარის შმაგი მიჯნური, ვინაა ეს ტარიელ, რომელზედაც ფარსალან მეფე ამბობს: „ავდგები და შვილათ გავზდი, თვით ჩემივე გვარი არსა“, და რომელიც შემდეგში აუჯანყდება ფარსალანს, გამაგრდება ციხეში და მოინდომებს მეფობას? ეს ორი გმირი ჩვენთვის უცნობია; შოთა სასტიკათ მალავს მათ ვინაობას, მაგრამ თამარის ღროის ქართველობა ძლიერ კარგათ იცნობდა ამ ორ გმირს, ფრიდონს და ტარიელს. ტარიელის მოქმედებამ ააშფოთა იმ ღროის მთელი საქართველო და გამოიწვია დიდი კამათი და ლაპარაბკი. მისმა რომანმა დაჩაგრა თამარ-დავითის ერთგულნი და გაახარა ორგულნი. ამ უბედურათ ჩავლილმა რომანმა საშინლათ აალელვა შოთა და თამარ-დავითის თრგულთა დამწველათ და ერთგულთა დასამაგრებლათ ააკრთო ჩანგზე ციური სიმი და დაუღერა ზევსური სიყვარულისა.

ტარიელის ვინაობას ვერ ვტყობილობთ „ვეფხის ტყა-  
ოსნით“; არ ვიცით, თუ რომელი ისტორიული პირია  
იგი, ან რა არის მისი ნამდვილი სახელი. ის არაა დაჭით  
სისლაში; ავთანდილ და ტარიელ არაა ერთი და იგივე პირი,  
თრადი. ამ ორ აღამიანს სულ სხვა-და-სხვა როლი და სუ-  
ლიერი ფიზიონომია აქვს; ისინი არ გვანან ერთმანეთს,  
როგორც როსტევან ფარსადანს, ან თინათინ ნესტანს.  
ხოლო არის ერთი უცნაური მზგავსება მათ შორის: თრ-  
თავეს უყვართ თამარი, ანუ უკეთ, ერთს უყვარს თამარ  
ნორჩი, მეფეთ კურთხევამდი, ე. ი. თამარ-ნესტანი, უყ-  
ვარს დიადი გრძნობით და გატაცებით, მეორეს კი უყვარს  
დინჯათ და მოთმენით თამარ გვირგვინოსანი, მეფე  
ბრწყინვალე, ენა. მზიანი, თამარ-თინათინ, რომლის ქმრა-  
თაც გახდება იგი.

მაშ თამარს სხვა-და-სხვა დროს ყოლია ორი მიჯნუ-  
რი და ქონია ორი რომანი. პირველი ძლიერი, მწვავე  
და კეშმარიტი სიყვარული თავის ნათესავთან, ტახტის მემ-  
გილერე შექნიერ ტარიელთან, მეორე კი შემდეგში უფრო  
დინჯი და მოსაზრებული სიყვარული სასახლის კარზედ  
აზღიულ ავთანდილ-დაჭითთან, რომელსაც მითხოვდება იგი  
მეორეთ. შეიძლება ეს მეორე არც იყო სიყვარული, არა-  
მედ მითხოვდა მას როგორც საზოგადოთ თხოვდება ქალი,  
რომ ქმარ-შვილი ყავდეს. შეიძლება თამარ იძულებით  
გათხოვდა კიდეც, რომ მემკვიდრე გასჩენოდა. ამის სა-  
ბუთიც გვაქვს.

თუ ეს აგრეა, მაშ, ეჭვი არაა, ეს ამბავი, ეს  
ამგვარი. წარსული დასცემდა თამარს დიდიბულთა და  
ხალხის თვალში, ააშუქთებდა გიორგი-ფარსადანს და  
მთელ სამღვდელოებას, საშინელ ჩირქს მოსცებდა თა-  
მარს და დავით სოსლანს, დაჩაგრავდა მათ ერთგულთ და  
გაახარებდა ორგულთ; მართლაც ვინ შეიგნებდა იმ დროს

ნამდვილი სიყვარულის ძალას?! ვინ გაამართლებდა თა-  
შარს?! ამისათვის საჭირო იყო სწორეთ ისეთი გენიოსი,  
როგორიც შოთა! საჭირო იყო ისეთი ძლიერი უდერა,  
როგორიც შეეძლო მხოლოდ რუსთველის ქნარს. კიდეც  
თავის სახელის აღსადგენათ უბძანა თამარმა- შოთას ეჭო  
და აემაღლებია იგი ლექსებით; კიდეც ამიტომ გამოდის  
შოთა თავის წინასიტყვაობაში ტარიელ-ნესტანის, ე. ი.  
თამარის და იმ უცნობი პირის მიჯნურობის, ე. ი. ზე-  
ნარ სიყვარულის შესანიშნავ მოსარჩევთ, დამცველათ  
და ასამაღლებლათ; კიდეც ამიტომ ამეგობრებს ავთან-  
დილ-ტარიელს, ე. ი. დავითს და იმ უცნობ პირს; ამი-  
ტომ გაიძახის შოთა თავის პოემის ბოლოში: ესე ამბავი  
გავლექსე თამარ-დავითის ორგულთა დამწველათ და ერთ-  
გულთა დასამაგრებლადო. მაგრამ ამ მოქმედებით მას ჩა-  
უდენია საქმე სალაყბო და საჭოჭმანები, ე. ი. აუტეხია  
და აულაპარაკებია მთელი ქვეყანა, თუმცა იმავე დროს  
თავის გმირებისთვის გამოუცვლია ბინა, სახელი, მოუგო-  
ნებია სპარსულიდან ვთარგმნეო და მთელი სიყვარულის  
დრამა აუნცვია და მოუქარგავს სულ სხვა ქარგზე.

## XII.

ტარიელისა და ფრიდონის შესახებ „ვეფხის ტყაო-  
სანი“ ბევრს ვერას გვეუბნება; ნაცვლათ დაგვრჩენია კი-  
დევ ორი წყარო, რითაც შესაძლოა ვცნოთ ამ ორი გმი-  
რის ვინაობა.. ეს ორი წყაროა: საქართველოს ისტორია და  
ზეპირ-თქმულება.

ავილოთ „ქართლის ცხოვრება“ და წავიკითხოთ;  
რას ვგეტულობთ შიგ? ეს ძველი მატიანე გვამხელს, რომ  
დავით აღმაშენებლის შვილს დიმიტრი მეფეს ყოლია ორი  
ვაჟი: დავით და გიორგი. დიმიტრი მოხუცობის დროს

შესულა ბერათ, ტახტზე კი ასულა ძე მისი დავით. ამას, ვგონებ, უმეფნია ექვს თვეს და გარდაცვლილა. გამეფებულა მეორე ძმა, ე. ი. გიორგი, რომელმაც, „ქართლის ცხოვრების“ თქმით, „იბყრნა მეფობისა შარავანდელი შვიდ სამეფოთ განწესებული“.

ტახტის ნამდვილი ზემკვიდრე კი ყოფილა დავითის ნორჩი ძე დიმიტრი ანუ დემნა. მოვიდა თუ არა ასაკში, დემნამ მიიმხრო მრავალი დიდებულნი, მეტადრე ორბელიანები, და მოინდომა გამეფება, რის გამო მოახდინა აჯანყება და გამაგრდა ლორის ციხეში. თი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „ქართლის ცხოვრება“:

— „ამას ესე ვითარსა სრულყოფასა და საწუთოთა გემოთა შინა ქცევასა მიიწიფა ძმის წული მისი (ე. ი. გიორგი მეფის) დიმიტრი (ე. ი. დემნა), შეილი ძმისა მისისა უხუცესისა და განსწავლული ზე პეტაილობითა, მზგავსი სახლის ჰყილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმის მათ ყოველითა სიკეთითა და სწავლულობათა, სახე კეთილდღიათა. და ჭაბუკობათა იგი იქმნა ზეგლელ და გამამწარებელ ჭამთა ცხოვრებისა მისისათა, უშიშობა დფთისა და გარდამზღვობა. სჯულისა ქრისტეს მცნებათა... (დაუკვირდით კარგათ ამ სიტყვებს), შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისისა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ობოლთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხელთა, ერეთთა, კახთა და სადაცა ვინ ნათესავი და ნატამალი მოსმენარ მათდა იყო. იქმნა განდგომანი, ბრძოლანი, კვლანი, სისხლნი და რბევანი... არა წარემართა ძესა მამისა წინააღმდეგისასა და თვით ამასა წინააღმდეგსა და ვანდგომილსა მეფისა ღვთის მოყვარისასა და მიეცა ძლევა გიორგისავე მძლეთა მძლესა“ \*).

\*) იხ. „ქართლის ცხოვრება“ გამოცემული ბროსსეს მიერ, წაწილი პირველი გვ. 272—273.

ქართლის ცხოვრებაშივე ვკითხულობთ, რომ დი-  
მიტრი თავის დასით გამაგრებულა ლორის ციხეში. სხვა-  
თა შორის, მისი მომხრე ყოფილა შთაა ართაგანს აյ,  
რომელიც შეუცყრიათ ჰერეთში შეტაკების დროს. ვინ  
იყო ეს შოთა, რომლის სახელი შეირჩინა მატიანემ? ეჭვი  
არაა იგი უნდა ყოფილიყო ვინმე გამოჩენილი პირი; ჩვენ  
კი სხვა არვინ ვიცით გარდა შოთა რუსთველისა სამესხე-  
თიდან; სამცხე ანუ სამესხეთო, როგორც ზევით ვნახეთ,  
მიემხრო დემნას.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, მრა-  
ვალი დიდებულნი განდგომიან დემნას ლორის ციხეში  
და მისულან გიორგისთან, ზოგიც გადმოუყვანიათ მო-  
ტყუებით. თვით შევიწროებულ დემნას მოუბამს საბელი  
და მოუთხოვნია ბიძისთვის შენდობა. რა მოუვიდა შემ-  
დეგ ამ ჭაბუკს „ქართლის ცხოვრება“ არას ვვეუბნება.  
საზოგადოთ ეს მატიანე ფარავს ბევრს საიდუმლო და სა-  
ნუკარ რამეებს დიმიტრის, მამა მისის და ბიძა გიორგი  
III-ს შესახებ, ფარავს, ალბათ, სულ სხვა მოსაზრებით.  
ამიტომ ბევრათ უფრო ვრცლათ დემნაზე და მის მამა-  
ბიძაზე ვგებულობთ ვახუშტის, ვართან დიდის და ვანსა-  
კუთრებით სტეფანოზ ორბელიანის ისტორიიდან, აგრეთვე  
სხვა მონოგრაფიებიდანაც.

„ქართლის ცხოვრება“ ამბობს შემდეგს გიორგის  
გამარჯვებაზე: „ურჩთა და მტერთა თვისთა არა მიაგო  
მისაგებელი მათისა, არამედ შენდობით და წყალობით  
სწვრთნა და რომელიმე ექსორია ჰყენა უკუთთა ქვეყანა-  
თა“ (იხ. გვ. 273—74). სულ წინააღმდეგი აზრის არიან  
სხვა ისტორიკოსნი და გადმოგვცემენ საშინელ ამბებს გი-  
ორგი III-ის სიმკაცრისას თავის ძმისწულის და ორბელი-  
ანების მიმართ. ნეტა რათ მაღავს და ასხვაფერებს ამ სა-  
ზიზლარ ფაქტებს „ქართლის ცხოვრება“? რათ უდგება

გიორგი მეფეს და რათ კიცხავს ისე სასტიკათ ტახტის კანონიერ მექვიდრე დემნას?! რა არის ამის მიზეზი? აჯანყება და ტახტის კანონიერი მოთხოვნა? არა ვგონებ.. აქ სხვა რაღაც ამბებია.

### XIII.

ვაჭუშტის ისტორიის განმარტებაში დ. ბაქრაძე შენიშვნავს დავით მესამის მამის დიმიტრის შესახებ:

— „ცხადია, რომ რაღაც შფოთი და არეულობა ყოფილა იმ დროს მექვიდრეობის გამო. მომავალი საუკუნოების მატიანე ამ შემთხვევაზე გვიამბობს შემდეგს: ფარსადან გორგოჯანიძე ამტკიცებს, ვითომც დავით იყო უმცროსი შვილი დაშიტრი I-სა და რომ უპირატესობა მიეღო თავის უფროს ძმაზე გიორგიზე და მეფობა ხელში ეგდო, აჯანყდა და ამოსწყვეტა ანუ მოაწამლვინა ზოგიერთი სასახლის ხელისუფალნი. და თავისი განძრახვა მცირეს ხნით სისრულეში მოიყავანაო. ეს შესაძლებელი საქმეა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დავით III-ს ექვსი თვის მეტი არ უმეფინია.“\*)

აი რას მოგვითხრობს მ. ბროსსე თავის ისტორიაში:

— „დავით მესამემ ცოტა ხანს იმეფა; ზოგი ამბობს: ორი თვეო, ზოგიც ექვსი თვეო და ზოგიც ორი წელი-წალიო. დავითის შემდეგ სამეფო ტახტი დარჩა მცირე-წლოვან იმის შვილს დემნას, ე. ი. დიმიტრის, ხოლო სამეფო საქმეებს განაგებდა დავითის ძმა გიორგი, რომელ-საც მინდობილი ქონდა რეგენტობა იმ პირობით, რომ დემნა, როგორც კი სრული წლოვანი შეიქნებოდა; ბიძას დაეჯინა ტახტზე, ამას მოგვითხრობს სტეფანოზ ორბელიანი.\*\*)“

\*) ვახუშტი: „საქართველოს ისტორია“. გვ. 189.

\*\*) მარი ბროსსე: „საქართვ. ისტორია“, ნაწილი I. გვ. 157.

მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმოა თვით სტეფანოზ ორბელიანის ცნობა ამ ამბის შესახებ; აღ ას ამბობს იგი:

— „დიმიტრი მოკვდა და ტახტზე ავიდა შვილი მისი დავით, კაცი მხნე და მეცნიერი, რომელიც მოკვდა ორი წლის შემდეგ. როცა მიიწურა სიცოცხლე დავითისა, მან იხმო კათალიკოსი და პირველი დიდებულნი; აგრეთვე მა თვისი გიორგი და შვილი დემნა. დაიდვა გვერდით ჯვარი და სახარება და დაიწყო: „საქართველოს დიდებულნო, თქვენ უწყით თუ რა რიგ იღვაწა თქვენთვის მამაჩემმან, მან აღადგინა ეს სამეფო და სიკვდილის დროს მან გადმომცა თავის სამეფო დიდის ზეიმით და მწერლითით საბუთით. მე კი ახლა ვუახლოვდები აღსასრულს.. ჩემს ძმა გიორგის არა აქვს არავითარი უფლება განაცხადოს რაიმე სურვილი სამეფო გვირგვინზე, რომელიც გადმომცა ჩემმა მამამ, მე კი ვაძლევ მას ჩემს შვილს დემნას თქვენის თანადასწრებით. და შენ, ძმაო გიორგი, დაიკავე ჩემი ალავრი, პრანგებლობდე მხედრობას შანამდე, სანამ ჩემი შვილი შოდა ასაჭმი.“ ამის შემდეგ იხმო ივანე ორბელიანი (სპასალარი), ჩაბარა მას თავისი შვილი (დემნა) და დაავიცა როგორც იგი, ისე უველა სიხა დიდებულნი, რომ არ უდალატებენ მის შვილს და აკურთხებენ მეფეთ, როცა გაიზდებოდა. ცოტა ხანს შემდეგ დავით გარდაიცვალა და დაიმარხა გელათში მამის გვერდით. ერთი თვის შემდეგ გიორგიმ შიიწვია ივანე ორბელიანი, დიდებულნი და ბრძანა: ჩემს ძმის წელს არ წაგართმევ მეფობას და თანახმათ ჩემი ძმის ანდერძისა, აფიევან მას სამეფო ტახტზედთ.“\*) შემდეგ სტეფანოზისავან ვგებულობთ, რომ გიორგი კურთხეულა მეფეთ და უმეფნია დიდხანს, (ე. ი, 21 წელი). როცა დემ

\*) Stéphane Orbelian: „Histoire de la Siounie“ გვ. 216—217. ხაზგასმული ჩვენია.

ნა შექმნილა სრული წლოვანი, გიორგი მეფეს არ შეუ-  
სრულებია თავისი ფიცი და ნება-ყოფლობით არ დაუთმია  
ტახტი კანონიერ მემკვიდრისათვის. მეფე ამ დროს ყოფი-  
ლა აგარათ. სწორეთ ამ ხანებში მისულან ივანე ორბე-  
ლიანთან საქართველოს დიდებულნი დემნათურთ და უთ-  
ქვამთ: — „ივანე, გაიხსენე შენი ფიცი და დაპირება, რო-  
მელიც მიეცი მეფე დავითს. მომწიფედა დრო დემნას მე-  
ფეთ კურთხევისა. გიორგი სახატეშია ცოტა ხალხით; ჩვენ  
კი ყველანი მზათა ვართ“. — „ლმერთმა დაგვიფაროს მოვ-  
კლათ იგი, ვინც კურთხეულა მეფედ, მაგრამ რომ შე-  
ვასრულოთ ფიცი და დავსვათ ტახტზე დემნა, საჭიროა  
დავიჭიროთ გიორგი და ვაიძულოთ მას, რომ შევასრუ-  
ლოს თავისი ზენაარი ფიცი და წერილობითი პირობა შე-  
სახებ თავის ძმის წულის დამორჩილებისა. მერე გავუშვათ  
და მივცეთ საცხოვრებლათ მამის მიერ დატოვებული სა-  
მკვიდრო მამული“. ყველა შეთანხმდენ ამაზე. ეს თათბი-  
რი გაუგონია ერთ ბიჭს ძირა სართულში. გაპარულა გი-  
ორგისთან და უთქვამს ყოველივე. მეფე მაშინვე გამოქ-  
ცეულა თფილისში და გაუმაგრებია იგი. ივანე ორბელი-  
ანს შეუკრებია თავის მხედრობა. მასთან მოსულან ქართ-  
ლის ერისთავი, ჯავახნი, კახო შვილებით, დიდი ვამრე-  
ჭელი, მემნა ჯაყელი და სხვანი 30.000 მხედრობით. ესე-  
ნი გამაგრებულან ლორის ციხეში. მას შემორტყმია გიორ-  
გი მეფე ჯარით და ყუსაბარის სარდლობით. რამდენიმე  
ხნის შემდეგ ზოგიერთნი გაქცეულან ციხიდან და დამორ-  
ჩილებიან მეფეს. გიორგის ბანაკიდან ისრით გადმოუგდი-  
ათ წერილი ივანესთვის და ურჩევიათ, რომ დამორჩილდეს  
მიფეს და მოართვას ძვირფას ცეშკაშათ დემნა, მიზეზი  
უბედურებისა. ამაზე ივანე გზავნის ისრითვე შემდეგ პა-  
სუხს: „ის კაცი ვინც გატეხს ფიცს სააქაო ცხოვრებისა-  
თვის და შებლალავს ღვთის კანონს დაერქმის რენეგატი“.

(მოლალატე); იგი დაიწვის საიქიოს საუკუნო გენიაში ეშ-  
მაკებთან ერთად. არ ვარ მხდალი და უზნეო, რომ გავ-  
ქელო საშინელი ფიცი! დეე მოვკვდე ერთგული ჩემის  
ფიცისა ჩემის ბატონიშვილისათვის და წავიდე საიქიოს,  
რომ მივიღო ძვირფასა განძი, რასაც ვერ წამართმევს ვე-  
რავინ!...“ ამის შემდეგ შევიწროვებული დემნა გადმო-  
სულა ციხიდან თოკით, დამორჩილებია ბიძას და უთხო-  
ვია სიცოცხლე. შემდეგ გადმოსულა ივანეც და ჩამოურ-  
თმევია გიორგისათვის ფიცი, რომ არ ავნებდა არაფერს.  
აი რას გვეუბნება სტეფანოზი ამის შესახებ:

„გიორგიმ მოიტყუა ლორის ციხიდან გადმოსული  
ივანე ორბელიანი ფიცით, არაფერს გავნიბო, დაივიწყა  
ფიცი, სტაცა ხელი ივანეს და დათხარა თვალები; დემ-  
ნას შესახებ კი არ იკმარა მარტო თვალების დათხრა, იგი  
დასაჭურია კიდეც, (*il le fit mutiler\**). შემდეგ დემნა და-  
უმწყვდევიათ კლდე-კარში, საღაც იგი გარდაცვლილა-  
ეს ფაქტია მოხსენებული აგრეთვე დ. ბაქრაძის შენიშვ-  
ნებში ვახუშტის ისტორიაში და მ. ბროსსეს თავის „სა-  
ქართველოს ისტორიაში.“ გარდა ამისა ჩვენ ვტყობი-  
ლობთ სტეფანოზ ორბელიანისაგან, რომ გიორგი მეფეს  
არ უკმარია მარტო დემნას და ივანეს სასტიკი სასჯელი,  
მისი ბძანებითვე მოუკლავთ ივანეს ძმა ქავთარ, შვილი  
მისი სუმბატ და ძმის წული ზინო. გარდა ამისა მოუს-  
რავს ივანეს ყველა ნათესავნი, ქალი თუ კაცი, ზოგი  
წყალში დარჩობით და ზოგიც კლდიდან გადაგდებით,  
ასე რომ მათი ხსენება წაუშლია მთელ საქართველოდან.  
გიორგი მეფეს უბძანებია აგრეთვე მოეშალათ ისტორიულ  
წიგნებიდან ყოველივე ხსენება ორბელიანებისა და დაწე-  
რათ ამბავი დემნას აჯანყებისა ნამდვილი მიზეზით გამო-  
წვეული კი არა, არამედ მოგონილი. ხოლო თამარის ტახტზე

\* ) Stéphanos Orbelian: „Histoire de la Siounie“ p. 220.

ასევლის შემდეგ ივანე ორბელიანის ძმის ლიპარიტის შვილი ივანე ემირ განძაკთან გარდახვეწილი მოუყვანიათ საქართველოში დიდის თხოვნით და ფიცით, არაფერს გავნებთო, და დაუბრუნებიათ მისთვის ორბეთი. ამ ივანესაგან წარმოდგენ თურმე შემდეგი ორბელიანები\*).

#### XIV.

აი ფრიად საგულისხმო ისტორიული მასალა! რა რიგათ უნდა აეხსნათ და გავარკვიოთ იგი? დავით აღმაშენებლის შვილს დიმიტრის ყოლია ორი ვაჟი; გიორგი და დავით. კანონით ტახტზე უნდა ასულიყო უფროსი შვილი, ე. ი. გიორგი, მაგრამ იგი იყო უშვილო, დავითს კი ყავდა ვაჟი. უმცროსი შვილი აჯანყებია მამას და გამეფებულა. დიმიტრის უცვნია კანონიერათ დავითის გამეფება, გადამდგარა ტახტიდან და შესულა ბერათ. მაგრამ დავითს დიდხანს არ უცოცხლია. სიკვდილის დროს იგი იწვევს დიდებულთ, ავედრებს მათ თავის პატარა ვაჟს დემნას, რომ აკურთხონ იგი მეფეთ, როცა მოვა ასაკში, შემდეგ აბარებს მას თავის ერთგულ სპასალარს ივანე ორბელიანს; გიორგის კი აძლევს რეგენტობას. დავითი ართმევს ყველას ფიცს და კვდება. რას შვრება გიორგი? იგი ადის სამეფო ტახტზე, დებს ფიცს, თანახმათ ანდერძისა გავამეფებ დემნას, როგორც კი ასაკში მოვაო. ამ ხანებში მას გაუჩნდება ქალი თამარი. გიორგი იმაგრებს ფესვებს, იძენს მომხრეებს, იგი იმარჯვებს მრავალ ომებში, ამარცხებს მტრებს, იპყრობს სომხეთს და აძლიერებს სამეფოს. როგორც მეფე და სარდალი იგი იჩენს დიდ მხნეობას და გამჭრიახობას. მას აღარ ეშინია ახლა არავის. იგი შეიქნა ყოვლად გავლენიანი მეფე; მას ეზრ-

\* ) St. Orbelian: „Histoire de la Sioune“ გვ. 216—221.

დება მემკვიდრეთ შვენიერი ქალი; გიორგის ავიწყდება ფიცი, მას არ უყვარს დემნა, როგორც შვილი თავის უზურპატორი ძმისა. მას სურს ქალის გათხოვება. და გამეფება. მაგრამ ამავე დროს გაზღილა დემნა; იგი შექმნილა ფრიად მშვენიერი, მცოდნე და გულადი ჭაბუკი. ბიძას კი არ სურს მისი ჭამეფება. მას დავიწყებია ფიცი. რაღა რჩება დემნას და ივანეს? არათერი გარდა ამბოხისა. ისინი უნდა ამბოხებოდენ გიორგის და აჯანყდინ კიდეც. დემნას მიემხრენ ორბელიანები, სამესხეთო, კახეთი, ქართლის ერისთავი, სარგის მხარგძელიძე, დიდებული ყვარყვარე, კახო, გამრეკელი, მემნა ჯაყელი, შოთა ართავაჩის ძე, ე. ი. ჩეგნის ფიქრით, შოთა რუსთველი და სხვა გამოჩენილი პირნი 30,100 მხედრობით. იყო თუ არა დემნას მომხრეთა შორის დავით სოსლანი, ისტორია ამაზე არას გვეუბნება.

გიორგიმ შეკრიბა ჯარები ყუსაბარის სარდლობით, ეკვეთა მეამბოხეთ და დაამარცხა ისანი, ანუ უკეთ დაახევინა უკან. დემნა მომხრეებით გამაგრდა ლორის ციხეში. გიოთგი ვერ დაამარცხებდა დემნას და მის მხედრობას, სადაც იყვენ ამისთანა გმირები როგორც გამრეკელი, ორბელიანები, სარგის მხარგძელიძე, ყვარყვარე, ჯაყელი და კახაბერი, მაგრამ ესენი ალბათ არ მოქმედობდენ ხელგამოლებით და არ სურდათ დაეღვარათ ძმის სისხლი. ამათ ამჯობინეს უკან დახევა და ციხეში გამაგრება, რაღან ელოდენ კიდევ ჯარს, (რომელიც არ მოუვიდათ), და ამ რიგათ გიორგის შეშინებას.

გიორგი კიდევ მეტი ჯარით მიადგა ციხეს. შვიდთვეს ერტყა სალტათ, მაგრამ ვერ აილო მაგარი ციხე-მეციხოვნეთ გამოელიათ სურსათი, დაეცენ სულით, მოხდა შიგ გაპარვა და ღალატი, ბოლოს შევიწროებული დემნა და ივანე იძულებული გახდენ გაღმოსულიყვენ ცი-

ხიდან და მისულიყვენ გიორგისთან შენდობის სათხოვნელათ.

რას შვრება გააფირებული გიორგი? იგი არ იქცევა ლმობიერათ, როგორც შეფერის სულგძელ მეფეს; რაღაც ას ძლიერ აუშფოთებია და გაუცხარებია იგი; მას დაკარგვია სიბრალული; იგი ქცეულა ნადირათ; რაღაც საოცარ ამბავს ამოუფხვრია მის გულში ადამიანური გრძნობა. იგი სტეხს ფიცს და სიკვდილით სჯის ივანე ორბელიანის შეიღს სუმბატს, მის ძმა ქავთარს და ძმისწულ ზინოის, აბრმავებს თვით ივანეს. მაგრამ ყველაზე უფრო სასტიკათ და ულმობელათ ექცევა თავის ძმისწულ დემნას. მას არამც თუ თხრის თვალებს, არამედ კიდევ უფრო საშინლათ ასახიჩებს მას, ე. ი. ასეჭურისებს. ასე საშინლათ დასჯილი ეს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, ეს მშვენიერი და გმირი ჭაბუკი მწვავე ტანჯვებით კვდება კლდე-კარის ციხეში.. ეს ამბავი იცის თამარმა, ამ საშინელ სურათს მზეენს დემნას მომხსე და მეგობარი შთა... ამ საზარელი სურათით შტოთავს პოეტის გული. დემნას დანარჩენი მომხრენი გიორგი მეფემ ზოგი ჩაყარა საკანში, ზოგი ჰყო ექსორია და ზოგიც დასაჯა განპატიუებით; ორბელიანების გვარი ხომ მოსრა მთელ საქართველოში. რათ ჩაიდინა გიორგიმ ამგვარი სიმხეცე? რათ დასაჯა მან ასე რიგათ დემნა? განა არ შეეძლო განდევნა, ან დატუსაღება? განა არ კმაროდა მისი თვალების დათხრა, ან პირ-და-პირ მოკვლა? განა მიტომ დაასაჭურისა იგი, რომ მემკვიდრე არ გაჩენოდა? არა, ამ სუსტი საბაბით ვერ ავხსნით გიორგის უსაზღვრო სიმკაცრეს და ჩვენს ისტორიაში უმაგალითო საქციელს დემნას მიმართ. არა, გიორგის ამჯემედებდა სხვა, უფრო ღრმა შიზეზი, აქ იტანჯოდა მამის შელახელი გრძნობა; აქ ბრაზობდა შურისძიება და ბრმა ფანტიზმი...

XV.

ვინაა ეს დემნა? ვინაა ეს უდროოთ დაღუპული შავ-ბედიანი ჭაბუკი? მკითხველი ხვდება კიდეც, რომ ესაა შოთას საყვარელი გმირი—ტარიელ, ვისოვისაც მარად სტირის და გოდებს პოეტი. რომ უფრო ნათლათ ვცნოთ ამათი მგზავსება, გავიყვანოთ პარალელი. ფრიდონიც, ჩვენის ფიქრით, დემნას მომხრე სპასალარი ივანე ორბე-ლიანია, რომელიც იყო სომხეთის დიდი მთავარი. ისტო-რიული დემნა და პოემის გმირი ტარიელ ორივე მეფის შვილია, გიორგი—ფარსალან მეფის მეგვარე, ნათესავი და ტახტის მემკვიდრე, ორივე მშვენიერი. და გულადი ვაჭ-კაცია, ორივე აუჯანყდებიან თავიანთ აღმზრდელ მეფეს, მოისურვებენ გამეფებას და გამაგრდებიან ციხეში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფარსალან გიორგი III-ეა, ნესტან კი თამარ, ამიტომ აშკარაა, რომ ტარიელ და დემნა ერთი და იყვენ ჰირია, ვინაიდან სხვა აშენება ვინიე და საქართველოს ტახტის მემკვიდრე არ ისრდებოდა გიორგი III-ის დროს.

გარდა ამ საოცარი მგზავსებისა არის ხვედრის სხვა-და სხვაობაც დემნასა და ტარიელს შორის. დემნას ასახიჩრე-ბენ საშინლად, რის გამო კვდება წვალებით. ტარიელი. კი კლავს ნესტანის საქმროს, შემდეგ ეძებს თავის დაკარ-გულ სატრფოს, იტანჯება დიდხანს, ბოლოს ნახავს მას მეგობართა დახმარებით, შეირთავს ცოლათ და გამეფდე-ბა. ისტორიულ მატიანეს არ შეეძლო ეთქვა თუ რა კავ-შირი იყო თამარსა და დემნას შორის. ეს გახლდათ სა-სახლის საიდუმლო, საშინლათ დაცული და დაგმობილი სასულიერო პირთაგან; ხოლო გიორგი III-ის ველურ მოქმედებით ჩვენ ვხვდებით ამას. ისტორია გვამხელს ამ უბედურ სიყვარულის შედეგს.

შოთა ამლერებს ჩანგზე თვით ამ სიყვარულს, მაგრამ ის ვერ შეეხებოდა ისტორიულ სინამდვილეს, ვერ აუწყებდა ქვეყანას დემნას საშინელ დასჯას. ეს მეტად აშკარა იქნებოდა, მისი მიზანი სულ სხვა იყო: სიუფარულის გრძნობის ამაღლება ქართველი ერის თვალში და მით თამარის სახელის ადდგენა. რუსთველი გვეუბნება მას, რასაც ვერ ვმზეთ ისტორიულ წიგნებში, ეს წიგნები კი მას, რასაც ვერ ვგებულობთ პოემაში. ამ რიგათ „ვეფხის ტყალსანი“ და ისტორიული მატიანენი ამთავრებენ ერთმანეთს.

არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ აქ პოემის ერთ ალაგზე, რომელიც ფენს სინათლეს ჩვენს აზრს:

ნესტანს დაუპირებენ გათხოვებას, ეძლევა ხორასნის შეფის შვილი. სასიძო მოდის დიდის ამაღლით, ნესტან განაძრახებს ტარიელს მოკლას ხვარაზმშა; მიჯნური ასრულებს ქალის ბძანებას, მაგრდება ციხეში და უთვლის ფარსადან მეფეს, რომ ტახტის ერთად ერთი მემკვიდრე მევარო. აი, ის სიტყვებიც:

— „იცი, ინდოთა სამეფო,  
რაზომი სრა საჯდომია,  
ერთი-და მე ვარ მემკვიდრე,  
უგელანი თქვენ მოგხდომია,  
ამოწუდა მათი უგელაი,  
მამული თქვენ დაგრჩომია,  
დღესადმი ტახტი უწემო  
არავის არ მონდომია.  
გერ გათხევ, თქვენშა ბეთილშან,  
აწ ბი არ მართალია,  
ღმერთმა არ მოგცა უმა ჰვილი,  
გიზის ერთა ქალია,  
ხვარაზმშა დაჭირა ხნდოწივედ,

დამრჩების რა ნაცვალია,  
 სხვა მეფე დასჯდეს ინდოეთს,  
 მერტყას მე ჩემი ხმალია!  
 შენი ქალი არად მინდა,  
 გაათხოვე, განმარილე,  
 ინდოეთი ჩემი არის,  
 არვის მივცემ ჩემგან კიდე,  
 ვინცა ჩემსა დამეცილოს,  
 მისით მასცა აღმოვტხვიდე,  
 სხვად მეშვეობისა გარეგანსა,  
 მამებად ვისცა ვინატრიდე“.

ამ რიგათ ტარიელი უთვლის ფარსადანს, ე. ი. გი-  
 ორგი III-ეს, რომ ინდოეთის მემკვიდრე მხოლოდ მე ვარო,  
 რადგან ყველანი ამომწყდარან და მამული თქვენ დაგრ-  
 ჩომია, ამიტომ ტახტი ჩემს მეტს არავის ეკუთვნისო. შენ  
 გყავს ერთად ერთი ქალი, მომაშორე იგი, გაათხოვე,  
 რადგან ინდოეთი, ე. ი. საქართველო ჩემი არის და  
 სხვას არავის დავანებებო. ეს ფაქტი აშკარათ მოწმობს,  
 რომ ამ სიტყვების მთქმელი დემნას გარდა არავინ იქნე-  
 ბოდა. საგულისხმოა აგრეთვე პოემის მეორე ალაგი, რო-  
 ცა ფარსადან მეფე გაიგებს სასიძოს სისვდილს ტარიელის  
 ხელით. აი რას ამბობს იგი;

„მეფე ბრძანების: ვიცი, ვიცი,  
 მეტად კარგად შემიგიან;  
 მას უუვარდა ჩემი ქალი,  
 სისხლი გულთა შოულვრიან,  
 რა ნახიან ერთმანეთი,  
 არ შეხედგა ვერ დასთმიან.  
 აწ თავშან ჩემშან შას შოუკლავ“

ჩემად და ვინცა შედესა,  
მე ღვთისა ვუთხარ, დაუბამს  
მას ეშმაგისა ბადესა,  
მას ბოზ-კურთა ასეთი  
რა მისცეს, რა უქადესა,  
თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო  
მისად პატიჟად მზადესა.

აქედან ჩანს, რომ ფარსადან მეფე საშინლათ აუშ-  
ფოთებია ნესტან-ტარიელის სიყვარულს, ეძახის ამათ ბოზ-  
კურთს და უქადის სიკვდილს თავის დას დავარს, რომელ-  
საც აბრალებს ამათ კავშირს. აქ ფარსადან სრულიად არ  
გავს ინდოეთის მეფეს, რადგან ინდოეთში და საზოგა-  
დოთ ალმოსავლეთში ნათესავთა შორის კავშირი და შე-  
ულლება ჩვეულებრივი მოვლენაა. მასთან ინდოეთის მეფე  
არასდროს არ იქნებოდა წინააღმდეგი, რომ თავის ქალი  
შეყვარებოდა ტარიელს; პირიქით, ამიტომ ის არ დაი-  
წყებდა გარეშეთ სასიძოების ძებნას, არ მოიწვევდა ხვა-  
რაზმშას, არამედ დიდის სიხარულით მიათხოვებდა ნეს-  
ტანს. თავის შვილათ აზდილს, ტახტის მემკვიდრეს,  
გმირს და შშვენიერ ახალგაზდას ტარიელს და გაამეფებდა-  
ორთავეს. სხვა რომ არა, ეს პოლიტიკურ მოსაზრებითაც  
უნდა ექნა, რომ არ გამოეწია ტარიელში მტრობა და  
აჯანყება, რაც მოხდა კიდეც.

მაგრამ გვავიწყდება, რომ ფარსადან საქართველოს.  
მეფე გიორგია, საქრისტიანო ფანატიზმით დაბრმავებული.  
მისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა დემნა-თამარის შეულ-  
ლება და ორთავეს გამეფება, რადგან ესენი იყვენ ახლო  
ნათესავნი, ე. ი. ბიძაშვილები. ამ მოქმედებით ის ააშ-  
ფოთებდა აგრეთვე დიდებულთა და სამლვდელოებას. გარ-  
და ამისა, გიორგი არ მისცემდა ქალს დემნას და არ გა-

ამეფებდა სხვა მოსაზრებითაც. დემნა იყო მისი უზურპატორი ძმის დავითის შვილი. ამიტომ უსათუოთ იღუმლათ ეძულებოდა იგი.

ადვილათ შეიძლება, რომ გიორგი ეძებდა საქმროს ასაკში მოსულ თამარისათვის, რომ წაა და მოიწვია კიდეც; იქნებ მართლაც მოკლა იგი დემნამ და ეს ფაქტი შეიქნა პირველ ნიშნათ აჯანყებისა. მით უმეტეს ვიცით, რომ თამარს მრავალი სამეფო პრინცები ეძლეოდენ საქმროთ. შეიძლება დემნას მიერ სასიძოს მოკვლა არის სადმე მოთხრობილი და ჩვენ ვერ გვიპოვნია ჯერ ის წყარო.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ გიორგიმ იცოდა დემნა-თამარის სიყვარული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სვიანი და ლმობიერი მეფე არ ჩაიდენდა იმგვარ სიმხეცეს და არ დასჯიდა ისე ველურათ თავის ძმისწულს, მშვენიერ დემნას. ამგვარ მოქმედებისათვის მას გაკიცხავდენ დადებულნი, მემატიანე და სამლედელოება. მაგრამ ესენი გიორგის კი არა, თვით ბედშავ დემნას გძობენ და კრულვენ. „ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ ეძახის დემნას ლვთის უშიშარს და ქრისტეს მცნების და სჯულის გარდამავალს. აქ რომ სხვა რამ არ ყოფილიყო, მარტო აჯანყებისთვის არ უწოდებდენ მას ამ საშინელ სახელს. ნეტა რა ჩაიდინა დემნამ ასეთი? მან მოითხოვა თავის კანონიერი უფლება, სამეფო ტახტი, რომელიც მას დაუტოვა ანდერძით თავის მამაშ დავით მეფემ კათალიკოზის და დიდებულთა თანადასწრებით და ფიცით. გიორგი იყო მხოლოდ რეგენტი და დაფიცებული დემნას გამეფებაზე. და როცა გიორგიმ დაივიწყა ფიცი, გამეფდა ძალათ და შემდეგ ასაკში მოსულ დემნას არ დაუტოვო ტახტი თავის ნებით, მხოლოდ ამის შემდეგ აჯანყდა დემნა. ამიტომ დემნას საქციელი იყო კანონიერი, თანაგრძნების დირსი და რა საგმობი და გასაკიცხი. და თუ ეს მშვენიერი პრინცი

დაგშეს, დასწყუევლეს და სტანჯეს, თავის სამართლიან მოთხოვნილებისთვის კი არა, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო, რომელიც გამოყარკვეთ ამ შრომაში.

შოთა მზერდა ყოველივე ამას. ამ დიდებულმა კაცმა ნახა თუ რა რიგ შეიქმნენ ორი მშვენიერი ახალგაზდა, ორი ზენაარი სული, ეს ტახტის მემკვიდრენი, უმეცრების და ფანატიზმის საშინელი სხვერპლნი. პოეტი მზერდა თუ რა რიგ გასთელეს და გაკიცხეს მათი ციური გრძნობა, მათი ღვთაებრივი სიყვარული, რა რიგ მოსცხეს მათ ბუნებრივ საქციელს საზიზღარი ჩირქი და მონათლეს ორთავე უკმეხი სახელით. ამას შემდეგ განა გიკვირთ, რომ შოთას აეკრთოს მათთვის თავის უკვდავი ჩანგი, გამოსულიყოს მათ დამცველათ, აღმოენთხოს სიბრალულის ცრემლის ნაკადული და ეთქვას:

— „თამარს შაქებდეთ შეფეხსა  
სისხლისა ცოქმლ-დანთხეული...“

და — „მთ დავსხდეთ ტარიელისთვის  
ცოქმლი გვდის შეუშრობელი“ -თ?!“

შემდეგ კი შოთა თუმც კარგათ ათავებს პოემას, მაგრამ სულ ბოლოს მაინც გაიძახის, რომ უჭია

— „ტარიელ მისსა რესთველია  
მისთვის ცოქმლ შეუშრობელია“ ..

პოეტი მუდამ მტირალი და ცრემლ-შეუშრობელია ტარიელის შესახებ, რატომ?!.“

## XVI.

ჩვენ გვაფიქრებს ერთი რამ: თუ ზერე თქმული ფაქტი დემნა-თამარის შესახებ მართალია, რა რიგ ჩაიდინეს ამ ორმა პატიოსანმა და მაღალ-გონიერმა ახალგაზდამ ეს

სჯულის წინაამდევი საქმე და რიგ შეიყვარეს ერთმანეთი? ეს თოთქო დაუჯერებელია! იტყვის მკითხველი.

მაგრამ ღრმათ რომ ჩაუკვირდეთ საგანს, აქ დაუჯერებელი არაფერია. ეს ამბავი ხდება მეთაორმეტე საუკუნეში, იმ დროს, როცა მთელი საქართველო ოუ პოლიტიკურათ არა, კულტურულათ მაინც რამდონობით აღმოსავლეთის გავლენის ქვეშა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი სამასი წელი იყო არაბთა ბატონობაში. არაბ-სპარსეთში კი სრულიათ არა უკანონო მიჩნეული ბიძაშვილთ შორის სამიჯნურო კავშირი და შეუღლება. ეგვევი ხდება ეპრა-ელთა შორის. თვით ქრისტეს სჯული სრულიათ არა ამის წინააღმდეგი, ამიტომ გათავისუფებში ბიძაშვილთ შორის შეუღ-ლება ხშირი შოვდება. ამის არ გმიბს მათი ეკლესია. ამგვარ კავშირს წინ აღუდგა მხოლოდ ორტოდოქსალი. სამღვდე-ლოება, ე. ი. მართლმადიდებლოდა და სასტიკათ ეწინააღმ-დეგა მას. მიუხედავათ ამისა ჩვენი დინასტიის, ე. ი. ბაგ-რატიონთა გვარში არა იშვიათათ ხდებოდა ამგვარი ნაოესაფური კავშირი. მეტადრე მეათე საუკუნეში ტაცს და ართანუჯის მია-ვართა (მამფალთა) დორს. აი ის ფაქტები, რომელნიც მო-ყავს ჩვენს ისტორიკს დ. ბაქრაძეს:

— „დავით მამფალი არტანუჯისა, კოსტანტინე პორ-ფიროგენის თქმით, ირთავს ბიძაშვილს და კვდება მო-ნაზნათ 943 წ. მისი შვილთაგანი, იმავე კოსტანტინეს ცნობით, ქალი ირთავს ბიძაშვილს აღარნასეს და ვაჟი სუმბატ ბიძაშვილსავე ბაგრატის ქალსა. (988 წ.) ბაგ-რატ მამფალი არტანუჯისა ირთავს ბიძაშვილს (+909 წ.). აშოტის ქალი ირთავს თავის ბიძას გურგენს“ და სხ.\*).

აი რას სწერს ბაგრატიონთ გვარზე ბიზანტიის იმპე-რატორი კოსტანტინე პორფიროგენი მეათე საუკუნეში:

\*). დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“, გვ. 269.

„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიის კუროპალატნი (ე. ი. ბაგრატიონები) იქადიან თავიანთ შთამომავლობას ური დედაკაცისაგან, რომელიც აცლუნა წინასწარმეტყველმა მეფე დავითმა და ისინი თავის გვარტომობას უკავშირე ბენ დავითს ამ დედაკაცის მიერ შობილის შვილთაგანით და ამის გამო ხადიან თავიანთ გვარს წინასწარმეტყველის მეფის დავითისა და ამ რიგათ თვით იმისგან შთამომავალის ღვთის მშობელისა. ეს არის მიზეზი, რომ იბერიის შთავრებს სამიანობათ, ქველის ურიების ჩემულების შემქმედება, ნათესავის შერთვა“ \*).

დავით ალმაშენებელმა მოახდინა ძეგლთა დება და გაწმინდა სჯული წარმართთა გავლენისაგან. ამიერიდან სამღვდელოება სასტიკათ დევნიდა ნათესავთა შორის კავშირს, მაგრამ, როგორც არა შორეული ჩვეულება, იგი გამეორდა გიორგი მეფის სასახლეში. ორი დიადი სულო შეეტყენ, შეეუღერენ ერთმანეთს; დემნას და თამარს შეუყვარდათ ერთმანეთი იმ ზენაარ გრძნობით, რომელზეაც ამზომს პოეტი: „ძლიერია ვით სიკვდილი“, და რომელიც ამაღლებს და ასპეტაკებს სულს, ანაზებს გრძნობებს, აფაქიზებს. ზნეობას და აძლევს ადამიანს უზენაეს სიტკბოებას. ხოლო ეს ფაქტი თუ ფრიად დააღმარცხდა, თორემ არ უნდა გაეცეცხლებია იმ რიგათ გიორგი III და არ უნდა ჩაედინა ის ველური საქციელი, რომ მას ქონებოდა შესაფერი შეგნება და გულკეთილობა. მაგრამ გიორგი იყო ვიწრო მართმაღიდებელი და ფანატიზმით დაბრმავებული, მასთან შურით აღმრული დემნასაღმი. ამრიგათ დამარცხდა სამართლიანობა და ციური სიყვარული; გაიმარჯვა უმეცრებამ, შურისძიებამ და სასტიკმა ფანატიზმე.

\* ) M. Brosset: „Additions à l'Histoire de la Géorgie“, 1851 p. 138—188.

## XVII.

გათავდა საშინელი ღრამა. თამარ აკურთხეს მეფეთ. მალე გარდაიცვალა დედა მისი ბურღუხან დედოფალი. შეს მიყვა ცოტახანს შემდეგ გიორგი მეფეც. თამარი დარჩა ობლათ. ეს მეფე ქალი სიხარულით დასტოვებდა ტახტს, დიდებას, მოშორდებოდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და ჩაიკეტებოდა სადმე ყრუ მონასტერში უბრალო მონაზნათ და იმის სულის სავედრებლათ, მაგრამ მოვალეობა და სამშობლოს სიყვარული ამაგრებდენ ამ სულით წამებულ ადამიანს, აძლევდენ მხნეობას, უსუბუქებდენ უსაზღვრო ჯავრსა და კაეშანს. თამარი ძლევს. მარად მგმინვარე გრძელებას, რჩება მეფეთ და მართავს ქვეყანას გონივრულათ.

მაგრამ თამარი არაა უკვდავი. როგორც ყოველი არსი, ისიც უნდა დაემორჩილოს ერთ დროს ქრონისის ულმო კანონს.. ამას კარგათ გრძნობენ მისი ქვეშევრდომნი, ამიტომ დიდებულთა პირით ურჩევენ მას გათხოვებას. თამარ უარზედაა. მას ეძლევიან საქმროთ ირანის და მცირე აზიის დიდი სულთნები და ემირები. მას ეტრფიან და მის ხილვას ნატრობენ რუსეთის და ბიზანტიის პრინცები, მისი სიყვარულით კვდებიან კავკასიელ მთავართა შეიღები. მშვენიერი თამარი ისევ უარზედაა. მას არ სურს გათხოვება, მას არ უნდა ქმარი; იგი თითქო ვერ მზერს მის თაყვანისმცემელთ, იგი ცივია მათვეის, ვით ცივი მარმარი, ვით მინერვას მშვენიერი ქანდაკი. რატომ? რათ არ სურს თამარს გათხოვება?! რათ არ სურს ქმარი ამ ასაკში მოსულ მშვენიერ ასულს?! რაა ამის მიზეზი?! აღვილი გასაგებია. მიზეზია მისი ტანჯული გრძელება, მისი გმიზბალი და ისე რიგათ გათეჭილი შირველი სიუფარული.

თამარს არ ასვენებენ. მასთან ხშირათ მიღის თავად-აზნაურთა და სამლელელოთა დეპუტაცია და ეველრებიან გათხოვებას. თამარის გულში ხდება საშინელი ბრძოლა. მასში იბრძეიან საოცრათ ორი ძლიერი გრძნობა: მოყა-ჯება სამშობლას წინაშე და ჩაგრული სიუფარული. სამნიშვ-ნელოა ეს ტრაგიული მომენტი თამარის სულის კვე-თებისა. ბოლოს იმარჯვებს პირველი გრძნობა, ე. ი. მო-ვალეობა და თამარიც ლებება. მას სიხარულით მოვკრიან ქმრათ ვისაც კი მოისურვებს, მაგრამ ქალი არ ძრაჭს ენას; იგი, დიდი ვედრების შემდეგ, ემორჩილება მხო-ლოდ ერის სურვილს და უსიტყვოთ ძალის-ძალათ მით-ხოვდება რუსეთის პრინცს ანდრია ბოლოლიუბსკის შვილს, ე. ი. გიორგი რუსს. ერის სიხარულს არა აქვს საზღვა-რი. გიორგი რუსის ბედს შენატრის ქვეყანა; მას სთვლი-ან უბედლინერებს კაცათ. მაგრამ ნამდვილათ კი ის ფრი-ად უბედურია. თამარი არ იკარებს მას. იგი უმანქოა ამ კაცთან; ის ვერ შერიგებია იმ აზრს, თუ როგორ შელა-ხოს თავის უბიწო გრძნობა, რა რიგ შეურაცხყოს იმის-წმინდა ხსოვნა და გაუზიაროს სარეცელი სხვა კაცს. ეს მას არ შეუძლია; ეს მეტის მეტია... გიორგი რუსს მაღე იშორებს თამარი და თითქმის ქორწილის მეორე დღეს ისტუმრებს საომრათ ყარნუ ქალაქს.

გიორგი რუსს რომ გამოეჩინა შშვიდი და წყნარი ხასიათი, გამოეჩინა მეტი მორჩილება და სიყვარული ცო-ლისაღმი, შეიძლება მოელბო თამარის გული და გამო-ეწვია მასში სიმპატია და თანაგრძნობა. მაგრამ ნაცვლათ ამისა გიორგიმ ჩქარა ახსნა აღვირი თავის მხეცურ ჟინსა და სურვილებს, მასში იჩინა თავი ჩრდილოეთის ველურმა ბუნებამ. ის შეიქნა ბახუსის და ვენერას ერთგული ქუ-რუში, დაერია მსახურთ და სეფე-ქალებს, გალოთდა და გაირყვნა სოდომური სენით. დატრიიალდა ბაგრატიონთა-

დიდებულ სასახლეში ოჯახური ღრამა და უთანხმოება. თამარს შეზიზღდა თავის ზე-დაცემული ქმარი; ორი წელი ითმინა მეფე-ქალმა გიორგი რუსის არა კაცური საქციელი, რომელიც გადასცდა ყოველივე საზღვარს. ბოლოს თამარი განშორდა საჯაროთ გარყვნილ ქმარს, ამ „სკვითსა და ბარბაროზს“, ჩასვა გემში და გაისტუმრა ბიზანტიას. მაგრამ გიორგის ზე-დაცემაში ცოტაოდენი წილი ედო თვით თამარს. მათი შინაური უთანხმოება და ქმრისადმი სიძულილი კარგათ იცოდენ თანამედროვე პირებმა და ამტყუნებდენ თამარს. ამიტომ იყო, რომ ბერძნის ჯარით დაბრუნებულმა გიორგი რუსმა იშვა ბევრი მომხრე მეტადრე დასავლეთ საქართველოში.

თამარი დარჩა ქვრივათ. კვლავ შეიქნა თხოვნა და ვედრება, კვლავ იწყეს სვლა დეპუტაციებმა სხვა-და-სხვა კუთხე-წოდებიდან. ბოლოს თამარი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ამათაც. იგი მითხოვდა ვის? დასავლეთ-აღმოსავლეთის ვინმე დიდ პრინცს, სულთანს, ან ემირს კი არა, არამედ ჰაშია ასეთის შთავჭის შვილს შაშიდა რუსუდანის შვილობილს, თბილა დარჩენილ დავით სოსლანს. აქ თამარი ბრწყინვალე თინათინია მეფეთ ნაკურთხი; და აპა ნარნარა თინათინმა გაუწიოდა საქმროთ ხელი თავის ერთ-გულს, მომთმენს და ჩუმალ მიჯნურს დემნა-ტარიელის მეგობარს მშვენიერ თვალ-ტანად ავთანდილს. ეს ხდება დაახლოვებით სამი-ოთხი წლის შემდეგ თამარის გამფე-ბიდან, ისე როგორც გაპეტებიდან სამი თუ ოთხი წლის შემდეგ ავთანდილ ირთავს თინათინს,

თამარ-დავითმა იწყეს თანხმობით ცხოვრება, მათ გაუჩნდათ ქალ-ვაჟი; მათ დაამარცხეს მეორეთ და საბოლოოთ გიორგი რუსი. თამარმა მოახდინა მთელი რეფორმა შინაურ მართვა-გამგეობაში. მან გამოიჩინა საოცარი პოლიტიკური ნიჭი. დატვალა შაშის დროინდელი სარ-

დფები, შინისტრები, მოსელები და მათი ალაგი მისცა დემსას  
მომსრუების, მაგ., თამარმა დაიახლოვა და დააწინაურა გამ-  
რუებული და შესრუტელები (მისცა სპასალარობა), კახასერი,  
ჭუებული, უფარევარი (მისცა ათაბაგობა), ქართლის ერისთავი  
და შეთა რესთველი. ამათში ზოგს მისცა ერისთაობა, ზოგს  
სპასალარობა და სარდლობა, ზოგს მინისტრობა. მაგ.,  
შოთა შეიქმნა ფინანსთა მინისტრი, ანუ მოლარეთ უხუ-  
ცესი. ამრიგათ გახადა ესენი პირველ ხარისხოვან დიდე-  
ბულებათ. თამარმა მოიწვია შორს გარდახვეწილი ივანე  
ორბელიანი, დიდი ივანეს ძმისწული და დაუბრუნა ყმა  
და მამული. მასთან სურდა წაერთვა კათალიკოსობა ფი-  
ცის გამტებ მიქელისათვის და დაესვა მის ნაცვლათ ოე-  
დორე, რაც მოხდა კიდეც მიქელის სიკვდილის შედეგ,  
რადგან მიქელის სიცოცხლეში სასულიერო კანონმა არ  
მისცა ამის ნება. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს  
და ნათელს ფენს ჩვენს აზრს დემნას შესახებ. სამნიშვნე-  
ლოა ის ფაქტიც, რომ თამარმა სასტიკათ აკრძალა ადა-  
მიანის დასჯა, მეტადრე კი დასტურისება და ასრუ დაკვეთა.

თამარის შრომას და საქმიანობას არ ქონდა საზღვა-  
რი. იგი მარად მოგზაურობაში იყო. გაიყვანა არხები,  
ააგო ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტრები, ააშენა სოფ-  
ლები და ქალაქები, ააგო მონასტრებთან შეკოლები და  
სემინარიები, გასცა ყველგან უხვი წყალობა, ხელი შე-  
ეწყო ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის განვითარე-  
ბას. ამრიგათ გაამდიდრა და ააყვავა თავის სამშობლო.  
ამასთან ერთათ თამარი კიდევ უფრო მეტათ მეცალინობდა  
სამეფოს გარე ძლიერებაზე. დიდ ნიჭიერ და გენიოს სარ-  
დლების მეოხებით თამარმა დააცხრო და დააშინა გარეშე  
მტრები, დაიპყრო მრავალი ქვეყნები, გაზარდა თავის სა-  
მეფო შავიდან კასპიის ზღვამდი, დაიპყრო სომხითი და  
ნახევარი მცირე აზია, დააარსა ტრაპიზონის იმპერია, ში-

შის ზარი დასცა დიდებულ იჩანს, მცირე აზიის სულთნებს და მთელს უძლეველ მუსლიმს. მის წინ ქედს იხრიდენ და მის მეგობრობას ნატრობდენ მაღრიბი და მაშრიყი.

თამარის მხედრობა შეიქნა რაღაც უძლეველი, ზღაპრული დევ-ბუმბერაზი. მის წინ გარბოდა თვით ხალიფას უძლევი დროშა. გაძლიერდა საოცრათ ქართული სული; გაშალა მან ლალი ტრთები, შეიმკო დასავლეთ-აღმოსავლეთის სწავლა-განათლებით, გაიფურჩიქნენ მასში შემქელი ძალნი, რომელთა მშვენიერი ნაყოფნი შეიქნენ ქართულ მწერლობა-ხელოვნების დიდებული ნაწარმოებნი; ამათ კი დღეს განციფრებაში მოყავთ მეცნიერ-არქეოლოგები და ორიანტალისტები; მათი ბადალი არ იყო მთელს ევროპაში რენესანსის ეპოქამდი, ე. ი. მეთუთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნემდი.

თამარის დროს ქართველთა რიცხვი აღემატა თითქმის ხუთ მილიონს. მრავალ საოცარ ომთა შორის ამ მეფე-ქალმა მოახდინა ორი, რომელნიც საუკუნოთ დარჩებიან საქართველოს ისტორიაში და რომელთა მზგავსი იშვიათათ ახსოვს თვით მსოფლიო ისტორიას. ამათში პირველია შამქორის ომი 1203 წელს. აქ დიდი ირანის შაჰის ამირ-ბუბაქარის აურაცხელი სპა-ლაშქარი ეკვეთა ქართველ მხედრობას. სპარსთა ჯარს წინ უძლოდა ხალიფას უძლევი დროშა. მიუხედავათ ამისა თამარის შედარებით მცირე მხედრობამ საოცრათ დაამარცხა სპარსელნი. გამარჯვებულ ქართველთ აუარება დავლასთან და ტყვეებთან ერთათ ჩაუვარდათ ხელო ხალიფას დროშაც, რომელიც თამარმა მიართვა გელათში ხახულის ღვთის მშობლის ხატს შოთას მიერ იამბიკოს ზე წარწერით. მეორე დიდი ბრძოლა მოუხდათ ქართველთ 1204 წელს ბასიანს ალეპოს დიდ სულთან ნუქარდინთან, რომლის ჯარის რიცხვი

მატიანეთა თქმით, აღემატა 8(10) ათას კაცს. ნუქარდინმა ფეხზე დააყენა მთელი აღმოსავლეთი. აქამდი უძლევი დიდი შუსლიმი გაემკლავა პატია საქრისტიანო ერს. აქ დადგენ პირდაპირ ასი ათასი ქართველი და თითქმის ერთი მილიონი მაჰმადის მორწმუნებ; ეს იყო საბედისწერო დღე. ამის წინაშე თითქმის ირცხვიან ძველი ელადის. მარათონის, სალამინის და პლატეას ომები, რომელთა შესახებ ისე ბევრს სწერენ ძველი და ახალი მწერლები. მაგრამ ქართველთა საარაკო სიმამაცემ და ზაქარია მხარგრძელის, დავით სოსლანის და სხვა სარდალთა ზენარმანიჭმა სძლიეს და გააპეს მუსლიმთ ლაშქართა ზღვა. დამარცხდა სასტიკათ ამაყი ნუქარდინი და კილამ ტყვეთ ჩაუვარდა ქართველთ, მაგრამ ამ ხიფათისაგან იხსნა იგი ელვასავით სწრაფმა არაბულმა მერანმა \*).

გავრცელდა ყოველი მხრივ თამარის დიდების და ქართველთ უძლეველობის ხმა. შეკრთა და შეშინდა საქართველოს წინაშე მთელი აღმოსავლეთი. თამარი და ქართველთ მხედრობა შეიმკენ მათ თვალში უძლეველობის შარავანდედით. ამის შემდეგ დაცხრა ამაყი ირანი და მცირე აზია, ქედი მოიხარა მთელმა მუსლიმმა. თამარს ხარჯს აძლევდენ და მის წინაშე მძიმე ნობათით მოდიოდენ ბალდადის ხალიფა და ალექსოს სულთანი; უცხოეთის მგოსნები და ისტორიკოსნი ადიდებდენ თამარ მეფეს. არ იქნება მეტი მოვიყვანოთ აქ არაბთა მწერლის შიხაბედინ ელკალკაშენდის აზრი თამარის შესახებ:

— „ადიდოს ალაპმა მისი (თამარის) უდიდებულების სიცოცხლე, რომელიც ბრძანდება მეფე ქებული, მხნე, სულგრძელი, წმიდა, სახელოვანი, მესიის ხალხთა დიდება, ჯვაროსან ერთა საუნჯე, ქრისტეს სარწმუნოების.

\*). М. ჯავაშვილი: „Царица Тамара“ 1900 г. გვ. 100—109.

სიაშაყე, მეფე აბხაზთა (იმერთა), ქართველთა და ჯურ-ჯანთა, მეგობარი უცხოელ მეფეთა და სულთანთა, მო-ნარქი უძლეველი, მოუსვენარი მებრძოლი და ლომი, მყრობელი ტახტის და გვირვვინისა, მეცნიერი თავის სჯუ-ლისა, მართლ-მსაჯული თავის ქვეშევრდომთა, ლაზიკის. ყველა მეფეთა უმჯობესი, ქართველთა სულთანი, ზღვათა-სამეფოთა საუნჯე, რაინდთა მამულის დამცველი, რუმის და ირანის ქვეყანათა მფარველი, სირიის მეფეთა ესენცია, ყველა გვირვვინის და ტახტის მპყრობელთა უმჯობესი, ქრისტიანთა გამდიდებელი, იესოს სჯულის ფუძე, მესიის გმირთა მიერ კურთხეული, წმინდა სახლის (იერუსალიმის) ამმაღლებელი, მონათლულთა სიმტკიცე, რომის პაპის მოკავშირე, მუსლიმთა მეგობარი და ყოველ მეფე-სულ-თანთა უუმშვენიერესი მომხრე \*).

ასე და ამრიგათ ადიდებდენ თამარს უცხოეთის მწერ-ლები და მტრებიც კი. განა საკვირველია, რომ საქართ-ველის პოეტებშა დამღერეს ამ დიდებულ მეფეზე ფერა-დოვანი ხოტბა და ვრცელი პოემები?!

### XVIII.

შინაურმა რეფორმამ, დიდებულ მოხელეთა დაცვლაშ და მით გამოწვეულმა აჯანყებამ იმ თავითვე ბევრი მტრე-ბი გაუჩინეს თამარს და დავითს. იმათ კარგათ იცოდენ თამარის წარსული და, ეჭვი არაა, ავრცელებდენ მასზედ ურიგო ხმებს. ამით წარობდენ ტახტის ორგულნი; ამით წუხდენ მეფის ერთგულნი. ეს გარემოება ფრიად აღო-ნებდა თამარს და მის ქმარს. აქ ბძანება, სიმკაცრე და სასჯელი არ გამოდგებოდა და არც მიმართავდენ ამგვარ.

\*.) М. Джанашвили: „Царица Тамара“, 1900 г. გვ. 17—18.

ველურ საშუალებას ეს ორი მაღალ-გონების და ზნეობის მექონე ადამიანი. აქ საჭირო იყო ციური ქნარი და მგოსნის ზენაარი ჰანგები; საჭირო იყო ძლიერი ხმა, რომ ემხილა ქვეყნისთვის სიყვარულის ძალა და სიღიადე, რომ მით გაემსჭვალა მსმენელი დიდი და პატარა, ყმა და ბატონი; შეეპყრო მით მთელი ერის გული და სული საუკუნეთა სრბოლაში და მით მოეწმინდა დემნა-დავით-თამარისათვის საშინელი ჩირქი, რომელიც ისე უსამართლოთ მოსცხეს მათ მტრობამ, შურმა, ხალხის უმეცრებამ და ბრმა ფანატიზმა.

აპა, გაჩნდა ამისთანა პირი, რომელსაც შეეძლო ამ მძიმე საქმის ასრულება: ეს იყო სულინათი შოთა, დემნას, თამარის და დავითის მეგობარი და მოწამე საშინელი დრამისა. დიადი ნიჭის მექონე, ღრმა გრძნობიერი და მაღალ გონება განათლებული ადამიანი დიდიხანია გლოვდა და მოთქვამდა ჩუმათ თავის საყვარელ დემნა-ტარიელის მწარე ხვედრს; ის წუხდა თამარის და დავითის გაკიცხვას, ის მზერდა ნესტან-თინათინის იღუმალ ცრემლებს, დიდიხანია სურდა შოთას აეკრთო ქნარი და გაელექსა ის საშინელი დრამა, ეუწყა საყოველთაოთ სიყვარულის ძალა და ზენარება; მას სურდა ეუწყა, რომ „მიჯნურობა არის ტურფა საცოდნელათ ძნელი გვარი, იგი სხვაა, სიძა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“. მისი პოეტური ნიჭი, მაღალი ფილოსოფია და ენა-ზნეობა ცნობილი იყო სასახლეში. ის იყო რიტორთა და მგოსან-ფილოსოფოსთა გვირგვინი; ამის შემდეგ ვიღას მიმართავდენ თამარ და დავით, თუ არა რუსთველს! და აპა „უბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. შოთას მაღალი სული დიდიხანია გამიჯნურებულა, ე. ი. აფრთოვანებულა ამ საშინელ ამბის გასალექსათ; ამიტომ მან აასრულა ეს მინდობილობა საოცარი ხელოვნებით; დასწერა ის,

რომელიც იყო „აქამდე ამბათ ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“. სულმანთმა იპყრა ხელთ ჩანგი. და საოცარი ძალით ააკვნესა მასზე ღვთიური სიყვარული. იგი მოსთქვამს თავის დემნა-ტარიელს.—„მო, დავსხდეთ ტარიელის-თვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“, ზრიალებს ქვეყნათ მგოსნის მკვნესარე ჰანგი. ის აქებს თამარს მწარე ცრემლებით; „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული“, ქლერს და გოდებს პოეტის ქნარი. ის იხსენიებს პოემის ბოლოს დავით სოსლანს, ამბობს, რომ ყოველივე ეს „გავლექსე მათად საკამათებლად“ და ორგულთა მათ-და დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად“.

შოთას მიზანია რაც შეიძლება დიდებულათ დაგვიხატოს მიჯნურობა და სიყვარული. მას სურს გაგვჭვალოს. თითქო ამ სიყვარულით, სურს გვაგრძნობინოს მისი სიწმინდე და ზენარება, ამიტომ იმ ალაგას, საცა ტარიელი. მოუთხრობს ავთანდილს თავის ამბავს, პოეტი არ ზოგავს. თავის ნიშა და ხელოვნებას. ის აქ იჩენს ადამიანის სულის შეუდარებელ ცოდნას; ის აქ ორიოდ ხაზით, ორი-ოდ სიტყვით უფრო შძლავრათ გვეუბნება მას, რასაც ვერ გვეტყოდა სხვა მთელი ტომებით. მაგ., რა შეედრება იმ ალაგს, სადაც ტარიელს თავის სატრფოს წარსულის მოგონებაც კი ბნიდავს. რა ძლიერი უნდა იყოს ეს სიყვარული!...

— „მე ხუთისა წლისა ვიუავ,  
დათრსულდა დედოფადი...  
ესე რა სთქვა ქმიშან სულთქენა,  
ცრემლით ბრძნა: „შობა ქალი“,  
დაბნედასა მიეწურა,  
ასმათ ასხა გულისა წყალი,  
სთქვა: „შემინვე შესა გავდა  
აწ მედების ვისგან აღი“.

კიდევ უფრო მძლავრია მეორე ალაგი, როცა ტა-  
რიელშა პირველათ ნახა ნესტანი:

— „ასმათ იყარდასა აზიდნა,  
გარედ ვსდებ მოზარდაგულსა,  
ქალსა შეგხედე, და სუარი  
შეცა ცნობასა და გულსა,  
მოვიდა, მივცე ღურაჯნი  
მოსოფა ცეცხლითა დაგულსა,  
ვამე მას აქეთ სახმილსა  
დაუწვავ ნიადაგულსა!  
— „აშ წანდეს იგი ნათელი  
მზისაცა მოწუნარენი „...  
მისი ვერ გაძლიერენება,  
დაბინდა და სულ-თქმია მწარენი!..  
უმა და ასმათი სტიროლეს  
ხმას სცემდეს იგი არენი,  
ჭმუნვით სთქვეს: მკლავნი ცუდქმილან,  
ვად გმირი მემუქარენი.  
ასმათმა წუალი დასხა,  
ცნობას მოვიდა ტარია,  
დიდხანს ვერა სთქვა, სევდამან  
გული შეუბრა, დარია;  
დაჯდა და მწარედ სულთათქვნა,  
ცრემლი მიწასა გარია;  
სთქვა: „ჩემგან მისი ხსენება  
ვაჭმე რა დიდი ზარია!...“

რაც უნდა თქვან, მაგრამ ჩვენ კი თამამათ აღვია-  
რებთ, რომ სიყვარულის ჰლიერება ამაზე შორს ვეღარ  
წავიდოდა! ტარიელი მზერს ქალს, მზერს საოცნებო შვე-  
ნებას და სიყვარულის ლახვარი გმირავს გულს, იგი იქვე

იბნიდება და ეცემა ძირს. ტარიელს სურს უთხრას აფ-  
თანდილს იმ ქალის სახელი და განაგრძოს მოთხრობა,  
ამ დროს მის აღზებულ ოცნებაში იხატება იმ ქალის  
ღვთოური სახე, ის ტკბილი წარსული და მოგონებანი;  
ის ვერ უძლებს ამ მოთხრობას, მკვნესარე ხმით წყევლის  
იმ ნათელს, რომელიც პირველად ნახა,— „აწ წახდეს იგი  
ნათელი, მზისაცა მოწუნარენიო“, (ოჰ, რამდენი გრძნობა  
იხატება ამ სიტყვებში!) და იქვე იბნიდება; მიუდის გული  
ამ გმირ ვაჟკაცს, რომელიც ხელით კლავს ლომებს და  
მარტოთ ებრძვის ხატაველთა ჯარს. ტარიელს ასხმენ  
წყალს, მოდის ცნობაში, მაგრამ დიდხანს ვერ იღებს ხმას;  
სევდას შეუკრავს მისი გული და ბავენი; ის მხოლოდ  
სულთქვამს მწარეთ და ღვრის ცრემლებს. ეს მომენტია  
სიყვარულის მწვავე პაროქსიზმი, სიყვარულის ტრანსი.  
ბოლოს მშვიდდება და ამოიკვნესს: „ჩემგან იმისი ხსენება  
ვაჭმე რა დიდი ზარია“—ო.

აქ პოეტის გენიამ კი არ დაგვიხატა, არამედ ცოც-  
ხლათ დაგვანახა და გვაგრძნობინა. სიყვარულის ძალა.  
ნესტან-ტარიელის ტრფიალება არაა ის პლატონური  
გრძნობა, ის ციური, ეთეროვანი ლტოლვა, ის უმანკო  
იდეალური რამ, რითაც შეპყრობილი იყო დანტეს სული  
მშვენიერ ბეატრიჩესადმი, საღაც ხორცს ძინავს და მხო-  
ლოდ სული ფრენს სიზმარეთის სპეტაკ სფეროში, ხარობს  
და ნეტარებს. არა, ნესტან-ტარიელის სიყვარული ქვეყ-  
ნიურია, ბუნებრივი, რომელიც იფურჩქნება ხოლმე სამხ-  
რეთის და ომოსავლეთის მზის სხივებზე. ეს სიყვარული  
უფრო რომეო და ჯულიეტას. სიყვარულია, ერთრიგათ  
გართხმული სულსა და ხორცში, სისხლ ამჩქეფე, ამფეთ-  
ქარე, მწვავე, შარბათივით ტკბილი და ამაღლებული. აქ  
ერთრიგ ხარობს და ნეტარებს, ან კვნესის და იტანჯება  
ხორცი და სული. ამგვარი სიყვარული შეუძლიათ იშვიათ

არსებათ, დიდბუნებოვან პირთ, სულით და ხორცით ჭაბუქთ, გაურყვნელთ და მძლავრ აღამიანთ. ამისთანანი კი იყვენ ნესტან და ტარიელი.

აი, ამგვარი სიყვარული დაგვიხატა შოთამ და ამ მხრივ, ჩვენის აზრით, ის უფრო ძლიერია, ვინემ პეტრარკა და შექსპირი, ვინემ ლვთიური ფირდუსი და პომიროსი.

## XIX.

ახლა შევეხოთ პოემის მეორე ალაგს. ნესტანმა იცის ტარიელის სილამაზე, ვაჟკაცობა და სხვა ლირსებანი, იცის მისი მეფეური შთამომავლობა. ტარიელი იბნიდება მის ნახვაზე; ქალიც იღებს ალლოს და ხვდება, რომ ეს სიყვარულის ნაყოფია. ქალის სტიქიონიც ხომ სიყვარულია, ამბობს შამფორი, და მართლაც იფეთქებს უეცრივ ნესტანის გრძნობიერი გულიც. თანაგრძნობა და სიბრალული მალე გარდიქმნენ ზენაარ ტრფიალებათ. ქალი ვერ იმაგრებს თავს, სწერს ბარათს თავის მიჯნურს, ამხნევებს და ეუბნება:

— „ნუ დაიჩნევ დაშო წყლულსა,  
მე შენი ვარ, ნუ მოჲვდები,  
მაგრამ ბნედა ცუდი მტელსა“.

შემდეგ ნესტან ვეღარ ისვენებს და იბარებს ტარიელს ჩუმათ, სურს მისი ხილვა, მასთან საუბარი. აიხდება წყნარათ მდიდრული ფარდა და ასმათი შეიყვანს ჩუმათ ტარიელს ქალის საიდუმლო ოთახში. ნესტანი მზერს თავის აღზნებულ მიჯნურს და მის დანახვაზე მუნჯდება უეცრივ. ქალის უმანკო გულში აღიძრენ ერთად რამდე-

ნიმე გრძნობა; ქალწულოვნება, სირცხვილი, კრძალვა, სურვილი და სატრფიალო ემოციები შეებრძოლენ ერთ-მანეთს, შეუხუთეს სული და დაუბეს ენა. ქალი მხოლოდ უცქერის ტყბილათ, მაგრამ იმ ცქერაში, იმ თვალებში ჭვირს ყველაფერი; შიგ მოჩქეფს ნექტარი და ნეტარება. აი რარიგ ასწერს ტარიელი იმ მშვენიერ მომენტს:

— „დიდ ხანს ვსდევ და არა მითხრა  
სიტუა მისია მთხასურსა,  
ოდენ ტკბილად შემთხვედის,  
ვითომცა რა შინაურსა,  
ასმათ უხმი, მოიუბნეს,  
ქალი მჟღადგა, მითხრა უურსა:  
— „აშ წადიო, ვერას გითხრობს“...  
მე გვლავ მიმცა ალმან შესა“.

რა იხატება აქ თუ არა პოეტის დიდი ხელოვნება და აღამიანის სულის ღრმა კულტა!

შვენიერია ის ალაგი, როცა ტარიელი კლავს ლომსა და ვეფხს, გაახსენდება თავის სატრფო და წაუვა გული, მაგრამ კიდევ უფრო მძლავრი და მშვენიერია ის ალაგი, როცა ფატმან მოუთხრობს ავთანდილს ნესტანის ამბავს თუ როგორ იხსნა იგი ორი ზანგისაგან, გაოცდა მისი შვენიერებით, კითხავს ვინაობას და პასუხის ნაცვლათ ტყვე-ქალი სტირის მწარეთ:

— „რა გიამბო ქება მისი,  
რა სიტურთვე, რა ნაზობა,  
ვფირცავ რომა იგი მზეა,  
არა მართებს მზესა მზობა,  
ვინ გაიცდის შუქთა შისთა,

გინცა ვინ ქნას წასაჭობა;  
 მე თუ დამწყავს, აჟა მზა ვარ,  
 აღარ უნდა ამას მზობა.  
 გვადრი: მითხარ, ვინ ხარ მზეთ,  
 ანუ შეილი ვისდა ტომთა,  
 ამა ზანგთა სით მიუგანდი  
 შენ პატრიონი ცისა ხომთა,  
 მან პასუხი არა მითხოა,  
 მე სიტევათა ესე ზომთა,  
 ას საპეტი წევარო უნასე  
 ცრემლთა მისთა მონაწილეობა".

მეტათ მხატვრულია და პოეტური კიდევ ტყვეთ  
 მყოფ ნესტანის მიერ ტარიელთან მიწერილი ბარათი,  
 რომელშიაც უზომო ტანჯვასთან ჭვირს უსაზღვრო სიყ-  
 ვარული აპა ის ლექსი:

— „ა. საუფარელია მივუწერ  
 გულ ამოსკვნილი მტირალი,  
 მისმანეუ ცრემლმან დაუგირის  
 ვის ედებოდა ვის ალი.  
 — ეჭ, ჩემთ ესე უსტარი  
 ას ჩემგან მონადეაწები,  
 ტანი კალმად შაქს, კალამი  
 ნაღველთა ამონაწები,  
 მე გული შენი ქალალდათ  
 გულსაგე ჩემსა ვაწები,  
 გულო, შაგ-გულო დაბმულხარ,  
 ნე აესწები, აწები".

ჩვენ შეევეძლო მოგვეყვანა კიდევ მრავალი ამგვარი  
 ალაგები, ბაგრამ ვშიშობთ ფრიად. შორს წაგვიყვანს.

თუმც ასე დიდებულათ გამოხატა შოთამ ამ ორი მიჯნურის სიყვარული, თუმც პოემის პირველ ფურცლიდან-ვე მკითხველს იპყრობს ნესტან-ტარიელისაღმი საოცარი სიმპატია, რომელიც იზრდება თან-და-თან და გადადის თაყვანებად, მაგრამ მგოსანმა მაინც არ იქმარა ეს. ის შიშობს, ვაი თუ ვერ შეიგნონ ჩემ მიერ დახატული სიყვარული და მისი სიდიადეო, ვაი თუ გაკიცხონ ამ ორი გმირის ტრფიალებაო, ვაი თუ არ იქმაროს ამ მხატვრობამ დემნა-თამარის უბედურ რომანის გასამართლებლათ და ჩირქის მოსაშორებლათო, ამიტომ შოთამ პოემის მიაკერა წინასიტყვაობა, საღაც იგი გამოვიდა ვექილის როლში \*). აქ ის დაუფარავათ ამბობს თამარზე: „მიბრძანეს მათდა საქებრათ თქმა ლექსებისა ტკბილისა“ და „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ დათხეული“. აქ პოეტის პირდაპირ რიტორულათ გაყავს პარალელი სიძვასა და სიყვარულს შორის და გვამხელს თუ რა განსხვავებაა მათში ან რა არის მიჯნურობა; მაგ.,

— „მიჯნურობა არის ტურთვა  
საფოდნელად ქნელი გვარი,  
მიჯნურობა სხვა რამეა  
არ სიძვისა დასადარი,  
იგი სხვა, სიძვა სხვა,  
შეა უზის დიდი შეღვარი,  
ნურვინ გარევთ ერთმანეთსა,  
გესმათ ჩემი ნაუბარი!

\*.) ჩვენის ფიქრით, „ვეფხის ტყაოსნს“ პირველადვე არ უნდა ქონებოდა წინასიტყვაობა და უმისოთ ყოფილა გავრცელებული; და როცა ვერ გაუგეს ამ პოემას დედა-აზრი, მიზანი და შეიქნა მითქმა-მოთქმა, მას შემდეგ შოთას დაუწერია ეს წინასიტყვაობაც. ავტორი.

სამს მიჯნური სანერი,  
არ შეძავი ბილწი, შრუში,  
რა მაშორდეს მოუკარესა,  
გაამრავლოს სულთქმა უში,  
გული ერთსა დააჭეროს,  
კუმტი შიხვდეს თუნდა ქუში,  
მძულს უგულოდ სიყვარული,  
ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში.  
ამა საქმესა მიჯნურნი  
ნუ უხმობი მიჯნურობასა,  
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა,  
სომხოდეს გაურისა თმობასა,  
ესე მდერასა ბედითსა  
გაფს ვაჟთა უმაწვილობასა,  
გარგი მიჯნური იგრა  
ვინ იქმს სოფლისა თმობასა.  
არს პირველი მიჯნურობა  
არ დაჩენა, ჭირთა მალვა,  
თავის წინა იგონებდეს  
ნიადაგმცა ჭქონდეს სალვა,  
უთრით ბნედა, შორით კდომა,  
უთრით დაგგა, უთრით ალვა,  
დათმოს წურომა მეფეთაგან  
მისი ჭქონდეს შიში, კრძალვა.  
სამს თავისისა ჩეზადსა  
არვისთანა ამჟღავნებდეს,  
არ ბედითად აი ზმიდეს,  
მოუკარესა აუიგნებდეს,  
არსით უჩნდეს მიჯნურობა,  
არა სადა იფერებდეს,


მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს,  
მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს“.

აი რა დიდებულათ ახასიათებს შოთა მიჯნურობას და რარიგათ ასხვავებს მას მრუშობისაგან. ეს ალაგია იმავე ღროს უზენაესი ზნეობრივი მოძღვრება. ამ პოემას კი სამღვდელოება დევნიდა ძველათ როგორც ხალხის გამრცველს. რა იყო ამის ნამდვილი მიზეზი? ადვილი მისახვედრია...

ახლა ვიკითხოთ, რისთვის სწერს ყოველივე ამას პოეტი? ნეტა რა საჭიროა ესა? თუ პოემა თარგმანია, რათ უნდა ეს წინასიტყვაობა? მით უმეტეს არ იყო იგი საჭირო, თუ ეს პოემა შოთას ოცნების ნაყოფია, ან შეკრებილი ლეგენდები! აშკარაა, ამ პოემაში ითარვის სულ სხვა რამ, აქ ჭვირს ისტორიული ფაქტი, ე. ი. სასახლის დრამა და დინასტიური განხეთქილება. სწორეთ ამიტომ სჭიროდა მგოსანს ეს წინასიტყვაობა, რომ უფრო გაესვა ხაზი და აეხსნა საქვეყნოთ მიჯნურობის დიადი მნიშვნელობა, თამარის ზნეობის სიფაქიზე და ზენარება. ვიმეორებ: ამ წინასიტყვაობაში რუსთველი დემნა-თამარის თავ-დადებული ვექტოლია.

ამ შრომის უმთავრესი მიზანია ამცნოს მკითხველს, თუ რა აზრით დასწერა შოთამ თავის უკვდავი პოემა, რა ისტორიულ ფაქტზედაა იგი აგებული, ან ვინ არიან მისი გმირები. მივაღწიეთ მიზანს თუ არა, ეს მკითხველის საქმეა. თვით პოემის განხილვას და დაფასებას პოეზია-ფილოსოფიის მხრივ აქ ვერ შევუდგებით. ეს მოითხოვს ცალკე დიდ შრომას. ამ პოემის დიადი მნიშვნელობა უკვე გამოვთქვით თავშივე; აქ მოგვყავს მხოლოდ მარი ბროსსეს აზრი: „ვერც საშინელმა განსაცდელმა, ვერც განადგურებამ და ვერც ყოველგვარმა უბედურებამ, რო-

მელთა მეოხებით საუკუნეთა სვლაში მოისპენ აურაცხელი ეროვნული ნაწარმოებნი, ვერ წაშალეს იგი, ე. ი. შოთას პოემა, ერის მეხსიერებიდან“. ჩვენც დავუმატებთ, რომ ვერავითარი ბარბაროსნი და ცრუ-მოკეთენი ვერ წაშლიან მას ერის გულიდან და გონებიდან! სანამ დარჩება ქვეყნათ ერთი ქართველიც კი, მანამ იქნება ცოცხლათ მისი ციური ენა და „ვეფხის ტყაოსანი“...



## Б У І Н І І З П.

1. შოთა რუსთველი: „ვეფხის ტყაოსანი“, 1863. გამოცემა პროფ. დ. ჩუბინოვისა.
2. „ქართლის ცხოვრება“, გამოცემა მ. ბროსსესი.
3. დ. ბაქრაძე: „ისტორია საქართველოსი“.
4. ვახუშტი: „საქართველოს ისტორია“.
5. მ. ბროსსე: „საქართველოს ისტორია“.
6. „Addition à l'histoire de la Géorgie“.
7. „Journal Asiatique“; avril, 1830.
8. Stéphanos Orbelian: „Histoire de la Siounie“.
9. De-Morgan: „Mission scientifique au Caucase“.
10. მ. ჯანაშვილი: „შოთა რუსთველი“ 1896 წ.
11. „Царица Тамара“ 1900 წ.
12. ან. ფურცელაძე: „შოთა რუსთველი და მისი ცოლი“.
13. დ. ჩუბინოვი: „О Груз. поэмѣ „Венхисъ-Ткаосани“.
14. აკაკი: „სამი ლექცია“ „ვეფხის ტყაოსანზედ“, „კრებული“ №№ V და VI, 1898 წ.
15. „რამდენიმე სიტყვა“, ი. ჭავჭავაძის პასუხად ვეფხის ტყაოსანის გამო.
16. ილია ჭავჭავაძე: „ივერია“, 1887 წ. № 77.
17. ალ. ხახანაშვილი: „Груз. поэтъ XII в. Ш Руставели и его поэма „Барсова кожа“.
18. ალ. ხახანაშვილი: „Очерки груз. словесности, т. I и II.
19. Муравьевъ: „Грузія и Арменія“, 1848 წ.
20. Гулакъ: „О Барсовой кожѣ Руставели“.

## ІІ

21. б. მარი: უურ. „თეატრი“ 1890 წ. № 12.
22. „Тексты и розысканія по Армяно-Грузинской филології“, т. IV, 1902 წ.
23. Н. Д. „Съвер. Вѣстникъ“, 1889 წ. №№ 9 და 10.
24. ალ. ს—ლი: „ვეფხის ტყაოსნის ყალბი ადგილები“, „მთამბე“ № XI 1895 წ.
25. ალ. ნანეიშვილი: „ივერია“ 1888 წ. № 52, „ივერია“ 1890 წ. № 14.
26. დ. ყიფიანი: „Кавказъ“ 1846 წ. № 33.
27. პლ. იოსელიანი. „Шота Руставели“.
28. Р. Кинвари: „Въ Барсовой кожѣ“.
29. М. Гюйо: „Искусство съ социологической точки зрения“, 1901 г.



### უმთავრეს ჟაცლობათა გასმორება:

გვერდი:	სტრიქონი:	არის:	უნდა იყოს:
8	15 ზეიდან	ისტორიის	ისტორიის
9	9 ქვეიდ.	ქვეყანას	ქვეყანას
9	7 ქვეიდ.	მთავრის	მთვარის
10	6 ზეიდან	მრალალ	მრავალ
19	10 ქვეიდ.	კხელობ	ვხელობ
31	3 ქვეიდ.	რозысканіა	რозысканія
45	10 ზეიდან	ვპოვუ	ვპოვე
49	7 ქვეიდ.	დროის	დროს
59	13 ქვეიდ.	გიოთგი	გიორგი



894.63.09

f 451

## სიმღერა ქვარიანის თბილებაზი:

1.	La viticulture et la vinification au Caucase .	50 კ.
2.	ევროპის მეაბრეშუმობა . . . . .	10 კ.
3.	ახალი საუკეთესო წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში . . . . .	10 კ.
4.	ამერიკული ვაზით ვენახის გაშენება . . . . .	5 კ.
5.	ნამყენი ვაზით ვენახის გაშენება . . . . .	5 კ.
6.	რაგვარი ცოდნა უფრო გვეჭივრება ქართველებს	5 კ.
7.	სამი გმირი . . . . .	15 კ.
8.	შავი-ქვის საქმე . . . . .	10 კ.
9.	ანექლინა (მოთხრობა)	15 კ.
10.	ცალინა (ქსერი)	5 კ.
11.	ვიზიტი (ეტიუდი)	10 კ.
12.	სუმბული (ლექსები)	25 კ.
13.	საქართველოს ისტორია (სურათებით და გე- ოგრაფიული კარტით)	40 კ.
14.	ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში (გიორგი სააკაძე და შისი ღრო)	40 კ.
15.	შოთა რუსთველი და მისი პოემა	30 კ.

წიგნი: „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ იყიდება  
ქუთაისში წიგნის მაღაზიებში და თეატრისში ქ. შ. წ. კ.  
გამ, საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

ამ წიგნის უმთავრესი საწყობი კი არის თვით ავტორ-  
თან. ადრესი: ქუთაისი, პოლიციის ქუჩა, საკუთარი სახ-  
ლი, სიმონ ალექსის ქვარიანი.

